ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 24 მარტი, 2022 №59 (8837) ფასი: 80 თეთრი

ლევან ხაბეიშვილი ირაკლი ზარქუას: „ირაკლი, ჯიგარო, არ მიცემიხარ, არც გვერდები მიტკენია“

გვ.5

„პუტინის უძლეველმა არმიამ სერიოზულად წამოჰკრა ფეხი უკრაინის მინას“

კახა ქემოკლიძე: „რუსეთის 28 დღის დანაკარგი უტოლდება მათ დანაკარგებს ავღანეთში“



გვ.2

გვ.3

„ნეიტრალიტეტი ნიშნავს, რომ რუსეთმა გადაგვყლაპოს“

ლაშა ჩხარტიშვილი: „ბიძინა ივანიშვილისთვის რძისა და ყველის გაგზავნას ვაპირებ“

„შესაძლოა, ომი დიდხანს გაგრძელდეს“

გვ.4

„საქართველოს, უკრაინის, მოლდოვის, აზერბაიჯანის კონფლიქტების გამო ევროკავშირი და ნატო სერიოზულად არ იძაბებოდნენ“

„ლარის კურსის თამაში არ გველოდება“

ემზარ ჯგერენაია: „ევროპამ რუსეთი მკაცრად უნდა დასაჯოს“

გვ.4

გიორგი ცაგარეიშვილი: „ნაციონალებს უკრაინელი ხალხის ტრაგედიის ხარჯზე ხელისუფლებაში მობრუნება სურთ“

გვ.3

ირაკლი ღარიბაშვილი აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ადმინისტრატორის მოადგილეს შეხვდა

გვ.3

2 გია ვოლსკი: „საქართველო ნეიტრალიტეტზე საუბარს არ და ვერ დაიწყებს“

6 რუსეთი ყირიმის ხიდის ბლოკირებას გეგმავს

4 ეკა გიგაური: „რუსეთი ომს აგებს უკრაინაში, ამიტომ, ვანახოთ დასავლეთს, რომ მის გვერდით ვართ“

6 აშშ და მოკავშირეები რუსეთის დიდი ოცეულიდან გარიცხვას განიხილავენ

6 თაღლითურად მითვისებულია „ხალიკ ბანკის“ ქონება

1993230720223

„პუტინის უძლეველმა არმიამ სერიოზულად წამოჰკრა ფეხი უკრაინის მიწას“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პარტია საქართველოსთვის ერთ-ერთი ლიდერი კახა ქემოკლიძე პასუხობს.

– ბატონო კახა, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდში განვითარებულ პროცესებს? ფონი კვლავ საკმაოდ მძიმეა. მსოფლიოს ყურადღება უკრაინისკენ არის მიპყრობილი. საქართველოს ხელისუფლების პოზიცია კი სერიოზული კრიტიკის ქვეშ არის. საზოგადოებისა და ხელისუფლების პოზიცია აბსოლუტურად სხვადასხვაგვარია. რა განაპირობებს ხელისუფლების ასეთ დამოკიდებულებას? ეს შიშია თუ რუსეთის მხარეს დგომა?

– საინტერესო კითხვაა და შეიძლება, ერთიც და მეორეც, ამას დამატებული არაკომპეტენტურობა ამავდროულად და იმ პროცესების არცოდნა, რომლებიც დღეს გეოპოლიტიკურ კონტექსტში მიმდინარეობს. ფაქტობრივად ახალი მსოფლიო წესრიგი ყალიბდება. აქ არ არის საუბარი მხოლოდ და მხოლოდ რეგიონულ უსაფრთხოებაზე, რომელიც პირობითად შავ ზღვას, უკრაინას ან სამხრეთ კავკასიას ეხება. აქ საუბარია ახალ, დიამეტრულად განსხვავებულ გეოპოლიტიკურ ვითარებაზე, რომელიც ფაქტობრივად ამ გაუგონარმა ომმა რუსეთის მხრიდან უკრაინის წინააღმდეგ შექმნა. ჩემი აზრით, ეს ყველაფერი საქართველოს ხელისუფლებას არ ან ვერ ესმის და ეს არის ძალიან სერიოზული პრობლემა დღეის მოცემულობით. მათი პოზიციონირება უკრაინის მიმართ იყო სახელმწიფოებრივად დამაზიანებელი და, ჩემი აზრით, ამიტომაც დასჭირდათ ამ ე.წ. გორბის ე.წ. კვლევების გამოდება, რომ გარკვეულწილად თავიანთი ამ უგუნური გადაწყვეტილებებისთვის საინფორმაციო ველი და ბაზისი შეექმნათ. თითქოსდა საქართველოს მოსახლეობა იზიარებს მათ მიერ წარმოებულ კამპანიას, რაც ძირშივე არასწორია. საზოგადოებამ თავისი გამოსვლებით, მიტინგებით საკუთარი პოზიცია მკაფიოდ დააფიქსირა.

– პრეზიდენტსაც განსხვავებული პოზიცია ჰქონდა „ქართული ოცნებისგან“ და ვნახეთ, მის წინააღმდეგაც როგორი კამპანია წამოიწყეს. საკონსტიტუციო სასამართლოშიც შეაქვთ სარჩელი. ამას რით ხსნით?

– ეს ერთ-ერთი კარგი მაგალითია იმისა, თუ რა დონეზე არასახელმწიფოებრივად მოიქცა მმართველი პარტია და, ამავდროულად, სამარცხვინოდ. ორი დღის წინ გამოქვეყნდა ძალიან ცნობილ დასავლურ გამოცემაში სტატია სათაურით, რომ „მმართველმა პარტიამ საკუთარ პრეზიდენტს უჩივლა უკრაინის მხარდაჭერის გამო“. მხოლოდ და მხოლოდ ეს კონკრეტული ფაქტი მეტყველებს იმაზე, რა დონეზე დამაზიანებელი აღმოჩნდა „ქართული ოცნების“ მთელი ეს პოლიტიკა, მათ შორის იმ ადამიანების მისამართით, ვგულისხმობ ქალბატონ პრეზიდენტს, რომლის არჩევაშიც ლომის წილი უდევთ და გარკვეულწილად მათი კანდიდატი იყო. მთელი ჯაჭვი გვქონდა ჩვენ დამაზიანებელი შეცდომების, რომელმაც „პარტია ქართული ოცნება“ კი არა, საქართველოს სახე დააზიანა როგორც ქვეყნის

გარეთ, ისე მორალურ განზომილებაში. მმართველმა პარტიამ ქართული პოლიტიკა გადააქცია „ოცნებისა“ და ნაციონალური მოძრაობის რაღაც მიკროლოკალური დაპირისპირების ველად. ამ პრიზმის გარეთ ვეღარ იყურებიან ეს ადამიანები. ეროვნული ინტერესების დაზიანების დონეზე უკვე საგანგაშო ნიშნულზე ვართ. დღეს რაც ხდება უკრაინაში, ამხელა კოლოსალური ომია, რომლის შედეგი პირდაპირ შენი ქვეყნის მომავალზეა დამოკიდებული და, იმის ნაცვლად, რომ ეს ხალხი აერთიანებდეს საზოგადოებას, თითოეული მათი გამოსვლა რომ აიღოთ, უბრალოდ, სამარცხვინოა!

– საზოგადოებას განსხვავებული პოზიცია აქვს, თუმცა ქვეყნის გარეთ ხელისუფლების პოზიცია ჩანს პირველ რიგში და ეს სერიოზულად აზიანებს ჩვენს ქვეყანასო.

– რა თქმა უნდა, საერთაშორისო დონეზე, საქართველოს მოსახლეობა რაც არ უნდა სხვა აზრზე იყოს, მაგრამ ამ ადამიანებს აქვთ ინსტიტუციურად სახელმწიფოს სახის წარმოდგენის უფლება. დღეის მოცემულობით, ასეა, სამწუხაროდ, ამიტომ რიგითი უკრაინელები, პოლონელები და ევროკავშირისა სხვადასხვა წევრი სახელმწიფოები პირადულ, პრივატულ დონეზე სვამენ კითხვებს, რა გჯერთ, რა დაგემართათო?! მრცხვენია, როცა მე მეკონტაქტებიან, პირველად ამას მეკითხებიან, რაშია საქმე, რა დაგემართათ? საქართველოში რა ხდება ისეთი, რომ შავი თეთრზე რომ არის დღეს მოცემულობა, რატომ აღმოჩნდით შავის მხარესო?!

– და რატომ აღმოვჩნდით? ეს ივანიშვილის პირადი პოლიტიკაა?

– რეალურად ეს არის ის პოლიტიკა, რომელიც „ქართულმა ოცნებამ“ მთელი თავისი ნეგატივით, თუკი რამე ცუდი ჰქონდა წინა ხელისუფლებას, ყველაფერი 100%-ით შეისისხლხორცა, მათ შორის ადამიანურ დონეზე, ყველა ის მავნე პრაქტიკა, მავნე ქმედება, რომლებიც ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში ყოფნას უკავშირდება, ერთი ერთში გადმოიტანეს. წინა ხელისუფლების წარმომადგენლები საკუთარი პარტიის წევრებად აქციეს, ისეთი წევრები, რომლებიც ნაციონალური პარტიის ნიშნით ამაყობდნენ თავის დროზე. დღეს ეს ადამიანები ბედავენ და სხვებს ეძახიან, ნაცმოძრაობის პარტნიორები ხართო. აი, ამ დონეზე არიან დაცემული. რაც შეეხება ივანიშვილს, ჩემი აზრით, ივანიშვილს აქვს უდიდესი ზეგავლენა და ამ შემთხვევაში პირდაპირი მონაწილეობა მიღებული ამ ამორფული მასის შექმნაში, რომელიც დღეს რეალურად დატოვა ხელისუფლების „სამართავად“. მე ეჭვი მეპარება ამ ადამიანების უნარში, რომ დამოუკიდებლად მიიღონ გადაწყვეტილებები. ამაზე პასუხისმგებლობა ერთადერთ ადამიანს ეკისრება და ეს არის ნამდვილად ბატონი ივანიშვილი. ადრე თუ გვიან მას ნამდვილად მოუწევს ამ პასუხისმგებლობის აღება საქართველოს მოსახლეობის წინაშე! ადრე თუ გვიან ეს დღე აუცილებლად დადგება. მე ამაში 101%-ით ვარ დარწმუნებული.

– ბატონო კახა, როდესაც ხელისუფლების პოზიციასა და ჩვენი მეზობლებისა და მეგობრების განაწყენებაზე ვსაუბრობთ, როგორ ფიქრობთ, ჩვენი ქვეყანაც ხომ არ აღმოჩნდება სანქციებში მოქცეული. რა საფრთხეები გვემუქრება ამ ყველაფრიდან გამომდინარე?

– თუ ჩვენი ქვეყანა გადაწყვეტს ბუფერად გადაქცევას სანქციების გვერდის ასავლელად, ამის გაფრთხილება და მინიშნება უკვე გაკეთდა პოლონეთის პრემიერ-მინისტრის ვიზიტის დროს. ეს გაკეთდა ღიად, მედიასთან კომუნიკაციის დროს. ალბათ, ეს იქნება ბოლო წვეთი, რამაც შეიძლება ძალიან ტექტონიკური ცვლილებები გამოიწვიოს უკვე ქვეყნის შიგნით. საქართველოს მოსახლეობა ბევრ რამეს პატიობს ხელისუფლებას ზოგადად. ჩვენ მომთმენი ადამიანები ვართ, მაგრამ არ პატიობს სუვერენიტეტის, ეროვნულობისა და დამოუკიდებლობის დაკარგვის ელემენტარულ პატარა რისკსაც კი. ამიტომ „ქართული ოცნება“ ძალიან ფრთხილად უნდა იყოს თავის ბატონ ივანიშვილთან ერთად...

– რომ ეს ხალხის მოთმინების ბოლო წვეთი არ იყოს?

– რა თქმა უნდა. იფრთხილონ, რომ ეს არ იყოს მოთმინების ბოლო წვეთი, რასაც ასევე შესაძლოა დაემატოს დასავლეთის მხრიდან კონკრეტული ადამიანების სანქცირება. ამიტომ, ვიმედოვნებ, რომ დიდ სიფრთხილესა და გარკვეულ გონიერებას გამოიჩენს ხელისუფლება.

– ბატონო კახა, ბოლო დღეებია, აქტიურად საუბრობენ ნეიტრალიტეტთან დაკავშირებით. რამდენად სახიფათოა ეს სიტუაცია და ვის ინტერესებშია ამ საკითხის წინა პლანზე წამოწევა?

– ქართული ოცნება“, დღეის მოცემულობით, მათ შორის ამ გორბის ე.წ. კვლევითაც და მთელი ამ გაშლილი მედიაკამპანიით, რომელიც აბსოლუტურად ორკესტრირებულად და ხელოვნურად წამოსწია პარტია „ოცნებამ“, პირდაპირი მინიშნებაა იმის, რომ გარკვეულწილად ქართველი საზოგადოების გონების დამუშავება დაიწყო საინფორმაციო მანიპულაციებითა და ფსიქოლოგიური ოპერაციებით, ნეიტრალიტეტზე ფიქრთან დაკავშირებით. მთელი ეს რეზულტატი, რომელიც გორბის ამ ე.წ. კვლევამ დადო, შემდეგ პარტიასთან მიბმულმა და დაფინანსებულმა ექსპერტებმა წერტილ– მძიმით გადმოაკოპირეს და დაიწყეს ამაზე საუბარი, შემდეგ „ოცნების“ წარმომადგენლები ალაპარაკეს. ეს ავტომატურად მიანიშნებს იმას, რომ ნარატივი საქართველოს პოტენციურ ნეიტრალიტეტთან დაკავშირებით ხელოვნურად არის შემოტანილი. კონტექსტის გარეშე არ არსებობს, უბრალოდ, წარმოუდგენელია! დღეის მდგომარეობით, სამხრეთ კავკასიაში, იმ მტრულ გარემოში და უსაფრთხოების თვალსაზრისით ძალიან ეკლექტურ და ადვილად მსხვრევად გარემოში, სადაც ჩვენ ვიმყოფებით, ნეიტრალიტეტი ბუნებრივად შეუძლებელია. ნეიტრალიტეტს მოგთხოვენ, მაგრამ მშვიდობის გარანტიებს არავინ არ მოგვცემს, არც ჩრდილოეთი, არც სამხრეთი, არც აღმოსავლეთი და არც დასავლეთი!

– ნეიტრალიტეტი ავტომატურად ნიშნავს რუსეთის ქოლგის ქვეშ ყოფნასო, ასეთი შეფასებებიც მოვისმინეთ. თქვენ რას იტყვით?

– აბსოლუტურად მართალი ბრძანდებით. ნეიტრალიტეტზე საუბარი დღეს და ნეიტრალიტეტის თემის შემოგდება ქართულ მედიასივრცეში და განხილვის ამ დიაპაზონში ემსახურება მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის ინტერესებს. ნეიტრალიტეტი არის სუფთა პრორუსული თემა.

– რა მოლოდინი გაქვთ უკრაინაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით? კი, საკმაოდ რთულია პროგნოზები, მაგრამ, როგორ ფიქრობთ, რით დასრულდება ეს ყველაფერი?

– რთულია ამ კითხვაზე პასუხი, გამომდინარე იქიდან, რომ ყოველდღიურად ვითარდება მოვლენები სხვადასხვა მიმართულებით, თუმცა არის რამდენიმე საკითხი, რომლებიც შემიძლია გამოვყო ძალიან პოზიტიურ ჭრილში. პირველია ის მისკალკულაცია, რაც თვითონ პრეზიდენტ პუტინს დაემართა რამდენიმე მიმართულებით, ერთი ის, რომ პუტინი ნამდვილად არ ელოდა უკრაინელების ასეთ წინააღმდეგობას, რატომღაც ეგონა, რომ რუსულენოვანი უკრაინელები მას ვარდებითა და წითელი ხალიჩით დახვდებოდნენ. ასე არ მოხდა და მოხდა სრულიად საწინააღმდეგოდ, მოხდა უკრაინის გაერთიანება და კონსოლიდირება ერთ დიდ არმიად. ვხედავთ, რა სერიოზულ წინააღმდეგობას უწევს ამხელა მეგაარმიას მთელ პლანეტაზე. პუტინი ასევე ელოდა, რომ დასავლეთი დაიქსაქსებოდა და ეს დამოკიდებულება გაიხლიჩებოდა. აქაც პირიქით მოხდა და ისეთი სანქციები დაედო დღეს რუსეთს, რომ მინიმუმ 2-3 წელიწადში რუსული ეკონომიკა აბსოლუტურად გვერდზე იქნება გაწეული, რაც იმას ნიშნავს, რომ ამას პირდაპირი ეფექტი ექნება არა მარტო უკრაინის უსაფრთხოებაზე, არამედ ჩვენზეც. მათი დაფინანსება აფხაზეთის, ცხინვალისა და სხვადასხვა მიმართულებებით გეომეტრიული პროგრესიით შემცირდება. დღეის მოცემულობით, უკრაინა დგას ძალიან მყარად, 28-ე დღე მიიწურა და რუსეთს კოლოსალური დანაკარგი აქვს. 28 დღის დანაკარგი უტოლდება მათ დანაკარგებს ავღანეთში. ეს არის უდიდესი ღია ჭრილობა, რომელიც მიყენებული აქვს დღეს რუსეთს და, თუ უკრაინამ გაუძლო, დიდი იმედი მაქვს, რომ გაუძლებს, ეს ომი დასრულდება უკრაინის გამარჯვებით. დღეის მონაცემებით, უკრაინა უკვე მოექცა გამარჯვებულის პოზიციაში. რუსეთის ვითომდა უძლეველმა არმიამ სერიოზულად წამოჰკრა ფეხი უკრაინის მიწას.

კახა ქემოკლიძე: „რუსეთის 28 დღის დანაკარგი უტოლდება მათ დანაკარგებს ავღანეთში“

რომან გოცირიძე: „ნეიტრალიტეტი და მსგავსი იდეები საქართველოში ვერ გაიხარებს“

– ნეიტრალიტეტი და მსგავსი იდეები საქართველოში ვერ გაიხარებს.

ამის შესახებ ნაციონალური მოძრაობის დეპუტატმა რომან გოცირიძემ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა.

როგორც გოცირიძე განმარტავს, ხელისუფლებამ გადაჭრით უნდა თქვას, რომ ის საქართველოს კონსტიტუციის ერთგულია, სადაც შავით თეთრზე წერია, რომ საქართველოს მიზანი არის ნატოსა და ევროკავშირში გაერთიანება.

– ნეიტრალიტეტი ნიშნავს საქართველოს ბელარუსიზაციას. ბელარუსი, რომელიც რუსეთის კოლონიაა და სამხედრო პარტნიორი. ნეიტრალიტეტის თემა „ქართულმა ოცნებამ“ შემოაგდო, მის მიერ დაქირავებული ექსპერტების, მის მიერ მართული ექსტრემისტული ჯგუფების მიერ.

ამ ჯგუფებს ხან „მარში“ ერქვა, ვასაძის პარტია, დღეს ამას ჰქვია „ალტ-ინფო“.

ხელისუფლებამ გადაჭრით, ახლავე უნდა თქვას, რომ ის საქართველოს კონსტიტუციის ერთგულია, სადაც შავით თეთრზე წერია, რომ საქართველოს მიზანი არის ნატოსა და ევროკავშირში გაერთიანება. არავითარი ნეიტრალიტეტი და მსგავსი იდეები საქართველოში ვერ გაიხარებს, ეს უნდა თქვას პირდაპირ, – აღნიშნავს გოცირიძე.

მან ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე მამუკა მდინარაძის განცხადებაც შეაფასა, სადაც ის აღნიშნავდა, რომ მმართველი ძალა „ომის პარტიის“, ასევე მისი დანაყოფების ინიციატივას არ განიხილავს.

როგორც გოცირიძე განმარტავს, „ის, რომ ოპოზიციის ინიციატივა პარლამენტში არ იქნება განხილული, დანაშაულია“.

– რას ჰქვია, განხილული არ იქნება, საკონსტიტუციო ქვეყანა ვართ. მათ ძალიან კარგად ახსოვთ ის ინიციატივა, რომელიც ევროკავშირში დაჩქარებული გაწევრიანების სახით მივიღეთ. დილით რომ ამბობდნენ, 2024 წელს შევიტანთ განაცხადსო, მეორე დღეს მოუწიათ ფართხაფურთხით გაქცევა და განაცხადის შეტანა. სწორედ ჩვენი ინიციატივისა და ზეწოლით შედეგი იყო. რა თქმა უნდა, ინიციატივები იქნება, – აღნიშნავს გოცირიძე.

გია ვოლსკი: „საქართველო ნეიტრალიტეტზე საუბარს არ და ვერ დაიწყებს“

– შეიძლება, ნატოს წევრობის პროცესი დროში გაიწელოს, მაგრამ ქვეყანამ საერთაშორისო დონეზე პოზიცია არ უნდა შეცვალოს – საქართველო ნეიტრალიტეტზე საუბარს არ და ვერ დაიწყებს, რადგან ამ საერთაშორისო კურსის გაძლიერებაში საკმაოდ ბევრი ენერგია და ადამიანის სიცოცხლეა ჩადებული.

აღნიშნული განცხადება პარლამენტის პირველმა ვიცესპიკერმა გია ვოლსკიმ ჟურნალისტებთან გააკეთა.

ამასთან, ვოლსკიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ რეგიონული და საერთაშორისო უსაფრთხოება ის საკითხია, რომელიც პარტნიორებთან ერთად უნდა გადაწყდეს.

– ნეიტრალიტეტის თემა საკმაოდ რთულია. უკრაინასთან დაკავშირებით ვხედავთ, პროცესები როგორ ვითარდება – რა პოზიცია უკავია ნატოს, ქვეყნებს, რომლებმაც აღნიშნული საკითხი უნდა გადაწყვიტონ და რა პოზიცია უკავია თავად უკრაინას.

ჩვენი და ნატოს ურთიერთობის საკმაოდ გრძელი ისტორიაა. არაერთხელ გვითქვამს, რომ ბევრი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა საერთაშორისო უსაფრთხოებას ნატოსთან ერთად. საქართველო არის ყველაზე დიდი კონტრიბუტორი ნატოს არანევრ ქვეყნებს შორის.

ამ თემასთან დაკავშირებით კრემლის მოთხოვნაზე საუბარი რელევანტური არ იქნება.

ჩვენ იმ ქვეყნებთან ერთად უნდა ჩამოვყალიბდეთ, ვისთანაც ვთანამშრომლობთ და ვისთან ერთადაც ბრძოლაში ამდენი წელი გამოვიარეთ, ვისთან ერთადაც ვომობდით და ვისთან ერთადაც ვაპირებთ მომავალში დგომას.

აქ მთავარი და გადამჭრელი ხელისუფლების პოზიცია არ არის – ჩვენს პარტნიორებს ჩვენთან ერთად ამ თემის საკმაოდ მნიშვნელოვანი განხილვა მართებთ.

როცა ნატოს წევრობაზეა ლაპარაკი, რასაკვირველია, დიდი იმედი გვაქვს, ეს გზა ჩვენი ქვეყნისთვის იქნება უსაფრთხო, რადგან ჩვენს პარტნიორებს შესწევთ უნარი, უსაფრთხოება უზრუნველყონ ჩვენი ქვეყნისთვის, – განაცხადა გია ვოლსკიმ.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეგერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ნეიტრალიტეტი ნიშნავს, რომ რუსეთმა გადაგვყლაპოს“

ლაშა ჩხარტიშვილი: „ბიძინა ივანიშვილისთვის რძისა და ყველის გაგზავნას ვაპირებ“

ნათია ხურცილავა

„ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი ლაშა ჩხარტიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ლაშა, არჩილ თალაკვაძემ განაცხადა, რომ რადიკალური ოპოზიცია პრაქტიკულად მეხუთე კოლონად გადაიქცა. რატომ არის მუდმივად ორივე მხრიდან ასეთი ბრალდებები, მომგებიანი თემაა?

– ასეთი ქართული ანდაზაა: „ჩემი შენ გითხარიო, გული მოგიკალიო!“ პუტინის მარიონეტების მხრიდან ასეთი ბრალდება დაუშვებელია. პუტინის მარიონეტები მართავენ ქვეყანას. ეს ადამიანები, რაც არ უნდა ერქვათ მათ – პარლამენტის თავმჯდომარე, მინისტრი, პრემიერი – თვითონ ვერაფერს ვერ წყვეტენ. მათ მხოლოდ ერთი – ოპონენტისთვის ასეთი იარლიყების მიწებება შეუძლიათ. ის პოლიტიკა, პოლიტიკაც არ შეიძლება ამას ეწოდოს, სრულიად მიუღებელია მეგობარი უკრაინული სახელმწიფოს მიმართ.

– ხელისუფლება რამდენად ადეკვატურია გლობალური პროცესებისადმი?

– რა ადეკვატურობაზეა საუბარი, როდესაც ხელისუფლება მხოლოდ რუსებისა და ბელორუსების ჩამოსახლებით არის დაკავებული. ერთადერთი საკითხი, რომელიც მას ახლა აინტერესებს, რუსეთის მოქალაქეების დაბინავებაა. სასწრაფო წესით ვითხოვთ ცალმხრივად გაუქმებული სავიზო რეჟიმის აღდგენას.

მეორე მნიშვნელოვანი საკითხი ზელენსკისთან ბრძოლა და ნაცის ძახილია. სირცხვილია. მაშინ, როდესაც საერთაშორისო ასპარეზზე რაღაც შესაძლებლობების ფანჯარა იხსნება უკრაინასთან ერთად საქართველოსთვის, ამით უნდა იყოს ხელისუფლება დაკავებული?! ყველა ერთად დარაზმული უნდა ჩავდიოდეთ ევროპის დედაქალაქებში და ჩვენი ქვეყნის დაცვისთვის, მისი სუვერენიტეტის უზრუნველყოფისთვის უნდა ვიბრძოდეთ, რომ როგორმე დავუახლოვდეთ ნატოს, ევროკავშირს. ამის ნაცვლად „ქართული ოცნება“ დაკავებულია შიდაბრძოლებით. მთელი ოპოზიცია ხომ ნაცად გამოგვაცხადეს, ეს არ იკმარეს და ახლა მთელი უკრაინის ხელისუფლება, პრეზიდენტ ზელენსკის მეთაურობით, ნაციონალად არის გამოცხადებული. ამაზე უფრო სამარცხვინო რა უნდა დაგემართოს ხელისუფლებას?! რა საგარეო პოლიტიკასა და ადეკვატურობაზე მესაუბრებით!

უკრაინას, მის ახალგაზრდა პრეზიდენტს, ამ გაჭირვების ჟამს მხოლოდ მხარდაჭერა შეიძლება გამოუცხადო და, რითიც შეგიძლია, იმით უნდა დაეხმარო. ომში ჩაბმას არავინ არ

გვთხოვს. მორალურად სწორ და საჭირო მხარეს დგომაზეა საუბარი, სხვა არაფერზე. სანქციები არ მუშაობს, ამაზე მოღალატეობრივი განცხადება რა უნდა გაეკეთებინა ქვეყნის ხელისუფალს?! რიჟვაძესა და შამუგიაზე რაღა უნდა ვთქვა. მათი მოხსნაც კი ვერ გაბედეს, ან როგორ მოხსნიდნენ, ეტყობა, ძალიან კმაყოფილი იყვნენ, როდესაც ერთის ან მეორის განცხადება მოისმინეს. როდესაც მთელი მსოფლიო სანქციებს უწესებს რუსეთს, ჩვენმა სოფლის მეურნეობის მინისტრმა მაშინ მოინდომა ფულის კეთება. ან საერთოდ რა რძესა და ყველზე იყო საუბარი, გაუგებარია, როდესაც ქვეყანას ნედლი რძის პრობლემა აქვს და იმპორტით არის ბაზარი გაჯერებული. ისე, ბიძინა ივანიშვილისთვის ვაპირებ რძისა და ყველის გაგზავნას რამდენიმე დღეში. თუ ჩვენი მინისტრი მზად იყო, რძე პუტინისთვის გაგეგზავნა, მე ბიძინას რომ გავუგზავნო, ამით რა დაშავდება?! გავუგზავნი კიდეც!

– როგორ ფიქრობთ, ნეიტრალიტეტის თემის წამოწევა რით იყო განპირობებული?

– ეს ერთგვარი მოსინჯვა იყო.

– გია ვოლსკის განცხადების ფონზე, რომელიც სრულიად საპირისპირო იყო?

– დიახ, მოსინჯეს და ვოლსკის განცხადებაც დააწიეს. ამ საკითხზე ჩემი პოზიცია მინდა გამოვხატო. ნეიტრალიტეტი სრულიად მიუღებელი და დაუშვებელია საქართველოსთვის. როდესაც შვეიცარიის მაგალითზე საუბრობენ, შვეიცარიის მაგალითის მოყვანა არათუ უადგილოა, საერთოდ საკითხის არცოდნაზე მიანიშნებს.

საქართველოს ტერიტორიაზე თუ ამერიკის სამხედრო ბაზები განთავსდება, მაშინ შეიძლება ვიფიქროთ, რომ თავდაცვისთვის გვინდა ნატო და, თუ ამერიკა დაგვიცავს, კი ბატონო, მაგრამ ასე მოწმენდილ ცაზე უარი ვთქვათ ნატოზე, ეს დაუშვებელია. რუსეთი იმწუთში გადაგვყლაპავს. ამიტომ გვჭირდება ნატო, დასავლური ინტეგრაცია. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ევროკავშირში მიღება რეალობა გახდეს. ეს უნდა ვაიძულოთ ხელისუფლებას, როგორც საზოგადოებამ აიძულა ისინი, დაჩქარებული წესით გაეკეთებინათ განაცხადი.

– ამას ვერავის დააჯერებთო, უთხრა ოპოზიციას მიხეილ სარჯველაძემ.

– რაც უნდა, ის თქვას სარჯველაძემ. ხალხმა რეალობა მშვენივრად იცის. რომ არა ხალხის რისხვა და ქუჩაში გამოსვლები, „ქართული ოცნება“ ამას არ აპირებდა. 2024 წელზე ლაპარაკობდნენ და ეს ყველამ კარგად იცის.

საქართველოს ძლიერი პარტნიორები სჭირდება, ისეთები, რომლებიც გაჭირვების ჟამს დაგვიცავენ. ისეთი პარტნიორები გვჭირდება, როგორებიც ამერიკა, დიდი ბრიტანეთი, ევროკავშირი არიან. ნეიტრალიტეტი იქნება საქართველოს რუსეთისთვის ჩაბარება. ნეიტრალიტეტი ივანიშვილის ხელისუფლების მხრიდან არის ფოჩიანი კანფეტი, რომელსაც თითქოს ომის ალტერნატივად სთავაზობს ქართველ ხალხს, მაგრამ ქართველი ხალხი ბრძენია და ამით ვერ მოატყუებენ.

რუსეთის პოლიტიკა მუდმივი „გადაგდების“ პოლიტიკაა. რუსეთი საქართველოს, გეორგიევსკის ტრაქტატიდან მოყოლებული, „აგდებს“. ამიტომ რთულია, ქართველი ხალხი ე.წ. ნეიტრალიტეტით მოატყუო, რომელიც რეალურად არ არსებობს. სხვათა შორის, ერთი, რაც ნიშანდობლივია, ჰესებსაც და ნეიტრალიტეტსაც ერთი და იგივე მომხრეები ჰყავს.

„ნაციონალებს უკრაინელი ხალხის ტრაგედიის ხარჯზე ხელისუფლებაში მობრუნება სურთ“

გიორგი ცაგარეიშვილი: „საქართველოს პროკურატურას ექნება კომუნიკაცია უკრაინის სამართალდამცავებთან და გავიგებთ, რატომ არიან ასე უხვად კაცისმკვლელები იქ თავშეფარებული“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის უმრავლესობის წევრი გიორგი ცაგარეიშვილი პასუხობს.

– ბატონო გიორგი, „ოცნება“ აცხადებს, რომ ნაცმოძრაობის არც ერთ საგარეო პოლიტიკურ ინიციატივას არ განიხილავს. ძირითადი მიზეზი რა არის?

– ძირითადი მიზეზი ისაა, რომ ეს ადამიანები, ნებსით თუ უნებლიეთ, საქართველოში პირდაპირ რუსეთის ინტერესების გაჟღერებასა და დამკვიდრებას ემსახურებიან. არც ერთ მათ ინიციატივას საგარეო მიმართულებით არათუ მოვიწონებთ, არამედ არც კი განვიხილავთ.

– კონკრეტულად, მაგალითად, რა ინიციატივაა, რომელზეც თქვენ არ იმსჯელებთ?

– ნაცმოძრაობა ყოველდღიურ ჰიბრიდულ ომშია ჩართული. ისინი ჰიბრიდულ ომს აწარმოებენ არა მოქმედი მთავრობის, არა მმართველი ძალის, „ქართული ოცნების“, არამედ თავისი ქვეყნის, თავისი სამშობლოს წინააღმდეგ. ყოველდღე ავრცელებენ ფეიკებს ფეიკებზე, სიცრუეს – სიცრუეზე. დღეში 3-4 დაუდასტურებელი ამბავს ავრცელებენ. სიცრუე ვრცელდება, რომელსაც ჩვენ ფეიკს ვეძახით. ეს არის 100%-ით სიყალბე.

– ნაცმოძრაობის მიერ გავრცელებულ რომელ ფეიკზე საუბრობთ?

– რომელი ერთი დაგისახელოთ. დაწყებული ჩეჩნეთ-საქართველოს საზღვარზე გაუგებარი გზის მშენებლობიდან, გაგრძელებული საქართველოს პარლამენტში მომზადებული „განათლების შესახებ კანონში“ ცვლილების „განხილვის პროცესით“, რომელიც თურმე განათლების კომიტეტში მეორე მოსმენით განიხილება.

ამგვარ შეულამაზებელ, შეუნიღბავ სიყალბეს ავრცელებენ სოციალური ქსელებით, ხშირ

შემთხვევაში დასპონსორებული გვერდებიდან. წარმოიდგინეთ, ამაში ფულს იხდიან. ფეიკების წინააღმდეგ ბრძოლაა საჭირო. ამას ჩვენ უნდა გავუმკლავდეთ. მარტო ხელისუფლება კი არ უნდა გაუმკლავდეს, არამედ ქართველი საზოგადოებაც, რომელიც ძალიან ფხიზლად უნდა იყოს და სიმართლე სიყალბისაგან გაარჩიოს.

ჩვენ ამაში საქართველოს საზოგადოებას ხელს შევუწყობთ იმ ძალებით, რომელიც გაგვაჩნია. ყოველდღე გვიწევს ამგვარი სიცრუის გაქარწყლება, ამიტომ საგარეო მიმართულებით ვერც ერთ მათ ინიციატივას არათუ ვერ გავიზიარებთ, არამედ ვერც განვიხილავთ. რამდენიმე დღეა, წარმოიშვა ტალღა საქართველოს ნეიტრალიტეტის შესახებ, რაც 17 მარტს საქართველოს სასამართლოს დარბაზში სააკაშვილმა გაახმოვანა.

– ნეიტრალიტეტის თაობაზე სასამართლო პროცესზე სააკაშვილმა გარკვეული სცენარი წარმოადგინა. ეს სცენარი მისი მოგონილი შეიძლება იყოს თუ გარედან ვინმესგან დავალებული?

– არ გამოვრიცხავ, ნეიტრალიტეტის თემა აბსოლუტურად შეგნებულად იყოს შემოგდებული. რუსეთის ფედერაციას გავლენის აგენტები ნაცმოძრაობაშიც ბევრი ჰყავს. მე მტრის ხატს სადღაც არ ვეძებ. ეს ადამიანები ამას იმდენად ხილულად წარმოაჩენენ, რომ ასეთი შეხედულება ნამდვილად ჩამოგიყალიბდება.

უბედურების ჟამს, როდესაც ჩვენი მეზობელი, მეგობარი ქვეყანა ომის ქარცეცხლშია გახვეული და იქ რუსეთის ფედერაციის მხრიდან ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა უკრაინის ნეიტრალიტეტია, ამ ფონზე საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი გამოდიხარ და ამბობ, რუსები რაღაც ნეიტრალიტეტის თემას შემოიგდებენო, ეს რას ნიშნავს?

– რას ნიშნავს?

– ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში ამ თემის მთავარ შემომგდებლად რუსი კი არა, მიხეილ სააკაშვილი, მის მიერ დაპურებული არასამთავრობო ორგანიზაციები და რუსეთის ფედერაციის სხვა გავლენის აგენტები გვევლინებიან, რომლებიც ჩემი კოლეგების რიგებშიც მრავლად არიან.

– ვის გულისხმობთ თქვენს კოლეგა აგენტებში?

– ვგულისხმობ ნაცმოძრაობიდან დეპუტატებსა და სხვა ლიდერების რიგებში მყოფ ადამიანებს. ეს თვალნათელია. ამიტომ მათი არც ერთი საგარეო ინიციატივა მომავალში ჩვენ მიერ განხილული არ იქნება.

– სანამ უკრაინაში ომი დაიწყებოდა, უკრაინისა და საქართველოს ნეიტრალიტეტის თემაზე საქართველოში მოქმედი ერთ-ერთი პარტიის ინიციატივით წერილი გაიგზავნა რუსეთში პუტინის სახელზე. „პატრიოტთა ალიანსმა“ მოახდინა ამის ორგანიზება. ამგვარ წერილებსა და მათ გამგზავნებზე რა აზრის ხართ?

– კიდევ კარგი, ეს პარტიები ხელისუფლების სათავეში არ არიან, თორემ რუსეთის ფედერაციის გუბერნიად გადაგვაქცევდნენ. ეს ხალხი მყარად დგას სერგო ორჯონიკიძის, ფილიპე მახარაძისა და ბუდუ მდივნის გაკვალულ გზაზე.

ნამდვილად ვერ ვიტყვი, ღმერთმა ხელი მოუმართოთ-მეთქი. ასეთი ინიციატივები საბოლოოდ მათივე სამშობლოს ვნებს. ამიტომ, ღმერთს დიდება, რომ ისინი დღეს საქართველოს ხელისუფლების სათავეში არ არიან, თორემ საქართველოს კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარის ერთ-ერთ რეგიონად გადააქცევდნენ, როგორც თითქმის ორი საუკუნის განმავლობაში ჯერ რუსეთის იმპერიისა და შემდეგ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში იყო.

ამგვარი შეხედულებები არის, მაგრამ ჩვენს კონსტიტუციაში ჩაწერილია საქართველოს ევროინტეგრაციის სურვილი და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანების მიზანი. ამიტომ, უკიჟინო იმ ხელისუფლებას, რომელმაც ეს ყველაფერი საქართველოს კონსტიტუციაში დაამკვიდრა, ამას ძალიან დიდი სითავხედე და ციინიზმი ხომ სჭირდება, რაც ამ ქვეყანაში პოლიტიკოსებს ასე უხვად ახასიათებთ, განსაკუთრებით, ნაცმოძრაობას.

– სხვათა შორის, უკრაინამ 2010 წელს გამოაცხადა ნეიტრალიტეტი. მოლდოვას კონსტიტუციაში უწერია, რომ ნეიტრალური ქვეყანაა, თუმცა რუსეთის აგრესიას თავი ვერ დააღწია. ამიტომ ის ძალები, რომლებიც ნეიტრალიტეტის საკითხს ააქტიურებენ, რას შეიძლება ეყრდნობოდნენ ან რატომ შეიძლება ააქტიურებენ ამ საკითხს?

– ნაცმოძრაობას ძალიან პრიმიტიული დღის წესრიგი აქვს. რაც განსაკუთრებით თვალშისაცემია, მათ გეგმაში აქვთ არსებული ხელისუფლების დამხობა, თავისი ავაზაკი პატიმრის ციხიდან გათავისუფლება და საქართველოს ხელისუფლების სათავეში მოსვლა. ამ გეგმის განხორციელების გზაზე რა საშუალებას გამოიყენებენ, მათთვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს. ქვეყნის შიგნით მათ ვერავითარ წარმატებას ვერ მიაღწიეს, არჩევნებში მრავალჯერადად დამარცხდნენ, ხელისუფლება ვერ დაამხეს.

ახლა უკრაინელი ხალხის ტრაგედიის ხარჯზე, უკრაინელების გმირული ბრძოლის ხარჯზე ხელისუფლებაში მოსვლა უნდათ. ხედავთ, რამხელა ნონსენსია? რამხელა გაუგებრობაა, რომ სხვა ქვეყნის, თუნდაც მეგობარი ქვეყნის ტერიტორი-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ირაკლი ღარიბაშვილი აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ადმინისტრატორის მოადგილეს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ადმინისტრატორის მოადგილეს პოლიტიკისა და პროგრამების საკითხებში იზაბელ კოულმენს შეხვდა.

მთავრობის მეთაურმა იზაბელ კოულმენს საქართველოში ვიზიტისთვის მადლობა გადაუხადა, თანამდებობაზე დანიშვნა მიულოცა და მომავალ საქმიანობაში წარმატება უსურვა.

შეხვედრისას ყურადღება დაეთმო იმ ფაქტს, რომ წელს საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 30 წლის იუბილე აღინიშნება და ითქვა, რომ ორ ქვეყანას დღეს საერთო ღირებულებებსა და ინტერესებზე დაფუძნებული მტკიცე სტრატეგიული პარტნიორობა აკავშირებთ.

პრემიერ-მინისტრმა აშშ-ს მადლობა გადაუხადა იმ ურყევი პოლიტიკური და პრაქტიკული მხარდაჭერისთვის, რომელიც ბოლო 3 ათწლეულის განმავლობაში საქართველოს დემოკრატიულ გაძლიერებაში, საიმედო და ქმედებაუნარიან პარტნიორად ჩამოყალიბებაში დაეხმარა.

მთავრობის მეთაურმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველო რეგიონში ამერიკის შეერთებული შტატების უახლოესი და საიმედო პარტნიორია და მოწოდებულია, სტრატეგიული პარტნიორობა კიდევ უფრო მეტად გაძლიერდეს თანამშრომლობის ყველა სფეროში. განსაკუთრებულად აღინიშნა სააგენტოს ფასდაუდებელი წვლილი საქართველოს დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებაში, ეკონომიკური ზრდისა და ევროატლანტიკური მისწრაფებების მხარდაჭერაში სხვადასხვა პროგრამის მეშვეობით.

შეხვედრაზე ყურადღება დაეთმო უკრაინაში მიმდინარე საომარ მოქმედებებსა და შედეგად უსაფრთხოების თვალსაზრისით რეგიონში შექმნილ რთულ ვითარებას.

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრას სტუმართა მხრიდან აშშ-ის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში კელი დეგნანი, სააგენტოს მისიის დირექტორი პიტერ უიბლერი, სპეციალური თანაშემწე ემილი გრინი და საქართველოში აშშ-ის საელჩოს პოლიტიკური ოფიცერი უილიამ სიბერი, ხოლო საქართველოს მხრიდან მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი ილია დარჩიაშვილი ესწრებოდნენ.

„შესაძლოა, ომი დიდხანს გაგრძელდეს“

„საქართველოს, უკრაინის, მოლდოვის, აზერბაიჯანის კონფლიქტების გამო ევროკავშირი და ნატო სერიოზულად არ იძაბებოდნენ“

მარიამ მჭედლიშვილი

უკრაინაში რუსეთის ინტერვენციის დაწყებიდან ერთი თვე გავიდა. ინტერვენტები იერიშებს არ წყვეტენ. უკრაინელები აგრძელებენ თავდაცვას. ქვეყნიდან ლტოლვილების რიცხვი იზრდება. უკრაინის გარშემო განვითარებულ მოვლენებზე აზერბაიჯანულ მედიასთან საუბრობს გერმანელი პოლიტოლოგი ანდრეას უმლანდი, რომელიც სტოკჰოლმის აღმოსავლეთ ევროპის შემსწავლელი ცენტრის ანალიტიკოსია. „ახალი თაობა“ გთავაზობთ ამ ინტერვიუს.

– უკრაინელი ლტოლვილების რიცხვი ევროპაში იზრდება. ევროკავშირმა პირველად გააქტიურა საკუთარი დირექტივა „დროებითი დაცვის შესახებ“. ეს საშუალებას იძლევა, ადამიანებმა ისარგებლონ თავშესაფრის უფლებით სტანდარტული პროცედურების გავლის გარეშე.

– ომის ესკალაციის დონიდან გამომდინარე, ლტოლვილების რიცხვი შეიძლება პროგნოზირებულზე ბევრად მეტი იყოს. ვაკვირდები სიტუაციას გერმანიაში და ვამჩნევ, რომ ბევრი დღემდე ვერ აცნობიერებს უკრაინის სიახლოვეს. ევროპელების მენტალურ რუკაზე უკრაინა რომელიღაც პარალელურ სამყაროში იმყოფება. დიახ, ვითარება ამ ქვეყანაში აღელვებთ გერმანელებს. ისინი გამოხატავენ სოლიდარობას, მაგრამ უკრაინის პრობლემები არ აღიქმება ევროპულად. არ ყოფილა იმის შეგნება, რომ ეს ჩვენთვის არის გამოწვევა. ჩვენში ფიქრობენ, რომ ომი ნატოსა და ევროკავშირის ფარგლებს გარეთაა და ის ევროკავშირის ქვეყნების ინტერესებს არ შეეხება. აქედან გამომდინარეობს მიგრაციული გამოწვევის გაცნობიერების არარსებობა.

– შეუძლია თუ არა ევროპას, გაუმკლავდეს ლტოლვილების დიდ ნაკადს?

– ევროპელების საზოგადოებრივ ცნობიერებაში ესეც არ ჩანს. ითვლება, რომ ევროკავშირი თავს გაართმევს 5 მილიონ ლტოლვილს.

– თქვენ აღნიშნეთ, რომ უკრაინის ომი ევროპელებისთვის მენტალურად სადღაც შორსაა. ევროპა ეხმარება უკრაინას, მაგრამ კიევში უკმაყოფილო არიან ამ დახმარების მოცულობით. არ არსებობს დასავლეთის ერთიანი პოზიცია.

– სწორედ ესაა მენტალური ბარიერი. არის შეგრძნება, რომ ევროპაში არსებობს სხვადასხვა პლანეტა. არის კარგი პლანეტა – ევროკავშირი და ნატო და არის არც ისე კარგი, სადაც ერთიანდებიან დანარჩენები. მათთან ომი მიმდინარეობს, მათი სახელმწიფოები დანაწევრებულია. აზერბაიჯანის, საქართველოს, უკრაინის, მოლდოვის კონფლიქტების გამო ევროკავშირი და ნატო სერიოზულად არ იძაბებოდნენ. უკრაინისათვის გაწეული დახმარება მოზომილია. იგზავნება შეიარაღება, ჰუმანიტარული დახმარება, ბევრი რამ კეთდება. ამასთან, არ არსებობს სტრატეგიული მიდგომა. ეს ყველაფერი მიმდინარეობს სოლიდარობის და არა უსაფრთხოების პარადიგმაში.

– რით და როდის დასრულდება ომი, რას მოიტანს მოლაპარაკებები?

– მინდა, რომ ყველაფერი რაც შეიძლება მალე დამთავრდეს. ვშიშობ, მოსკოვი სანამ რესურსების გამოფიტვას არ შეიგრძნობს, მანამ სერიოზული მოლაპარაკებები ვერ გაიმართება. ზავი შესაძლებელია. ამ ზავით, შესაძლოა, რუსეთმა ისარგებლოს ჯარების გადასროლისა და მომარაგების მოწესრიგებისათვის.

დასავლეთს უნდა ჰქონოდა სტრატეგია უკრაინის არა მარტო მსუბუქი იარაღის მოწოდების მხრივ. სტრატეგიას უნდა გაეთვალისწინებინა მაღალტექნოლოგიური მძიმე შეიარაღებით მომარაგებაც. რუსეთში უნდა გაჩნდეს განცდა, რომ ასეთი ომის მოგება შეუძლებელია. მაშინ მოსკოვსა და კიევს შორის მოლაპარაკებებშიც აზრი გაჩნდება.

– შეიძლება ითქვას, რომ ეს ომი ხანგრძლივი იქნება?

– იმედი მაქვს, რომ – არა. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ხდება კრემლში. თუ რაღაც მიზეზის გამო რუსეთში ხელმძღვანელობა შეიცვლება, მაშინ შესაძლებელი გახდება ომის სწრაფად დასრულება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველაფერი, შესაძლოა, თვეები და წლებიც კი გაგრძელდეს.

„ლარის კურსის თამაში არ გველოდება“

ემზარ ჯგერენაია: „ევროპამ რუსეთი მკაცრად უნდა დასაჯოს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში ემზარ ჯგერენაია პასუხობს.

– ბატონო ემზარ, უკრაინაში მიმდინარე ომმა მსოფლიო ეკონომიკაზე სერიოზული გავლენა მოახდინა. საქართველოშიც ამ მხრივ რთული ვითარებაა, კატასტროფულად გაძვირდა საწვავი, ფასებმა მოიმატა საკვებ პროდუქტებზე. როგორია თქვენი შეფასებები და პროგნოზები, რას უნდა ველოდოთ?

– პირველ რიგში, უნდა გითხრათ, რომ მსოფლიოში ომის გარეშეც სასურსათო ბაზარზე საკმაოდ სერიოზული პრობლემებია და ეს ამძიმებს სიტუაციას. რა თქმა უნდა, უკრაინის სიტუაცია ამ ყველაფერზე პირდაპირ მოქმედებს. ჩამოვთვლი რამდენიმე ბაზარს, რომლებზეც ეს ყველაფერი პირდაპირ აისახება. ეს არის შაქრის ბაზარი, ხორბლის ბაზარი, ნავთობის ბაზარი, საკმაოდ ბევრი რამეა, რისი დეფიციტიც შეიქნება და დააკლდება ბაზარს. ის დონორი ქვეყნები, ის მხარდამჭერი ქვეყნები, რომლებიც რუსეთს უწესებენ სანქციებს, შეამცირებენ ბაზარზე მოწოდებას. ეს მნიშვნელოვნად გააძვირებს პროდუქტებს და ხელს შეუწყობს ინფლაციას. ამიტომ ველოდებით ინფლაციის მაღალ დონეს, ეკონომიკის დაბალ დონესა და სხვადასხვა სახის სასურსათო პრობლემებს.

– რამდენიმე პროდუქტზე უკვე შეინიშნება დეფიციტი, ბატონო ემზარ, მაღაზიებში არ არის შაქარი, ფქვილი. ეს საზოგადოებაში არსებულმა პანიკამ გამოიწვია თუ რეალურად უკვე გვაქვს ამ პროდუქტებზე დეფიციტი?

– ეს განაპირობა პანიკამ. ჯერ არ ჭირს არაფერი. პროდუქტების დეფიციტზე გადამზიდველებს ჯერ არ დაუჩივლიათ. ეს არის პანიკა და პანიკას დამატებული ცუდი მოსავალი. აი, ეს ორი ფაქტორია. ნავთობის ბაზარიც პირდაპირ ომთან არის მიბმული.

– ბარელ ნავთობზე ფასმა შედარებით დაიწია, მაგრამ ჩვენთან ფასი მაინც ზემოთ მიდის. ამას რით ხსნით?

– საკმაოდ დაბლა უნდა დაიწიოს ნავთობის ფასმა, რომ რაიმე შეღავათი და ფასის კლება ვიგრძნოთ. დიზელის ფასმა ორი დღის წინ რეკორდი დაამყარა. საკმაოდ მაღალი ფასებია. ასეთი მაღალი ფასი ჩვენ არ გვქონია საწვავზე. საწვავის ფასზე ანტირეკორდია დამყარებული.

– ლარიც განაგრძობს რყევებს. ეროვნულ ვალუტასთან დაკავშირებით რის თქმა შეგიძლიათ?

– სიტუაციის გათვალისწინებით, ლარი საკმაოდ მყარადაც გამოიყურება. მთავარია, ახლა ბიუჯეტმა დეფიციტის დასაფარად ლარი არ გამოუშვას. ამ ეტაპზე ეროვნული ბანკი კარგად იქცევა, ზომიერ სვლებს აკეთებს. ჯერჯერობით ლარის კურსის თამაში არ გველოდება.

– ბატონო ემზარ, თქვენ აღნიშნეთ, რომ ამჟამად პროდუქტებზე დეფიციტი პანიკის გამო შეიქმნა. ზოგადად რა სახის პროდუქტებზე უნდა ველოდეთ დეფიციტს და როდიდან?

– დეფიციტი შეიქმნება მარცვლეულზე, ბურღულეულსა და საწვავზე. მსოფლიო ბაზარზე არსებული მდგომარეობა განაპირობებს დეფიციტს ამ პროდუქტებზე. რა თქმა უნდა, ამ ყველაფერს დაემატება უკრაინის ამბები და ასევე რუსეთი, რომელიც ამცირებს გარკვეული სახის პრუდუქტების იმპორტს. გარდა ამისა, ის არის სანქცირებული.

– როგორ ფიქრობთ, პურზე მოიმატებს ფასი?

– ჯერჯერობით მოწოდება არ შეზღუდულა, ამიტომ ფასმა არ უნდა მოიმატოს, თუმცა, არ გამოვრიცხავ, რომ უახლოეს პერიოდში მარცვლეულის დეფიციტი შეიქმნას ჩვენს ქვეყანაში. შემდეგ ჩვენ მოგვიწევს ძვირიანი ხორბლის ყიდვა შეერთებული შტატებიდან და კანადიდან.

– და ეს პურსა და ფქვილზე ფასის ზრდას გამოიწვევს?

– რა თქმა უნდა, გამოიწვევს, რადგან საკმაოდ ძვირიანი ხორბალია, ამას დამატებული ტრანსპორტირების ხარჯები. ეს ყველაფერი კი საბოლოოდ ფასზე აისახება.

– მარტში, აპრილში რამდენად მაღალი იქნება ინფლაციის მაჩვენებელი? პრემიერი ეკონომიკურ ზრდაზე საუბრობს, მაგრამ ამ ყველაფერს ხომ ინფლაცია ჭამს.

– რა თქმა უნდა, ასეა. არა მგონია, აპრილში ინფლაციამ დაიწიოს. პირიქით, ინფლაციის მაღალი დონე შენარჩუნდება.

– ზოგადად თუ ელით სიტუაციის დარეგულირებასა და ფასების დაწევას?

– გააჩნია, ომი როგორ წარიმართება, რა დროში გაიწელება ეს ყველაფერი. არა მარტო საკვებ პროდუქტებსა და საწვავზე, ზოგადად, ფასმა ყველაფერზე მოიმატა. არა მარტო ჩვენი ქვეყანა, ამ სიტუაციით მთელი მსოფლიო ზარალდება.

– ევროპის ლიდერებისგან უკვე ვისმენთ განცხადებებს, რომ თუკი კიდევ დიდხანს გაგრძელდება ომი, დიდ ეკონომიკურ ზარალს ნახავს არა მხოლოდ რუსეთი, რომელიც სერიოზული სანქციების ქვეშ არის, არამედ მთლიანად ევროპაო.

– ეს ჩვენი და ევროპის თავისუფლების ფასია. სხვაგვარად არ გამოდის, ხომ ვხედავთ.

– რა სახის ზარალი შეიძლება ნახოს დასავლეთმა?

– წინასწარ ეს ძალიან ძნელი სათქმელია. ჩვენ ისიც არ ვიცით, რუსეთის წინააღმდეგ გამოცხადებული სანქციები რეალურად როგორ ხორციელდება. გაცხადებული კი არის, მაგრამ, რამდენად არის ჩართული ამ ჯარიმების მექანიზმი, ეს არ ჩანს. ერთია, რას განაცხადებ და მეორეა, რას მოიმოქმედებ.

– იტყვის ევროპა უარს რუსულ გაზზე?

– ის ვადები, რომლებიც დასახელდა, 2027 წელი, ალბათ აუცილებლად მოუწევთ უარის თქმა. კარგი გაკვეთილი მიიღეს, საკუთარი თვალით ნახეს, როგორ გახდა რუსული გაზი იარაღი მათ წინააღმდეგ. მე ვფიქრობ, რომ ევროპამ ეს ომი არ უნდა წააგოს. მან რუსეთი მკაცრად უნდა დასაჯოს. ჯერჯერობით არ ჩანს, რომ ევროპა მკაცრად სჯის რუსეთს.

ეკა გიგაური: „რუსეთი ომს აგებს უკრაინაში, ამიტომ, ვანახოთ დასავლეთს, რომ მის გვერდით ვართ“

– დაშინება არის არასწორი, საფრთხე არ დგას, რადგან რუსეთი ომს აგებს უკრაინაში, არ ჰყოფნის რესურსები და ვერ დაიწყებს ყველა მიმართულებით საომარ მოქმედებებს. ამიტომ, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ შესაძლებლობების ფანჯარა გამოვიყენოთ და ვანახოთ დასავლეთს, რომ მის გვერდით ვართ.

ამის შესახებ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ თავმჯდომარე ეკა გიგაურმა უკრაინაში რუსეთის აგრესიასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის პოზიციაზე საუბრისას განაცხადა.

მისივე თქმით, საქართველოს მთავრობამ ომით კი არ უნდა დააშინოს ხალხი, არამედ „გააკეთოს ყველაფერი, რომ ახალი პერსპექტივები გვანახოს და მაქსიმალურად გააერთიანოს საზოგადოება“ და ყველანაირი დისკუსია, რომელიც მიმართულია იმისკენ, რომ არ დავდგეთ დასავლეთის გვერდში, რუსეთის ინტერესია.

– საქართველოს შეიძლება ჰქონდეს უპრეცედენტო მხარდაჭერა დასავლეთის მხრიდან, ვინაიდან დასავლეთი ყოველთვის განგვიხილავდა პარტნიორებად და დღეს ეს ყველაფერი უნდა დავამტკიცოთ. საფრთხეები, რა თქმა უნდა, არსებობს, მაგრამ ეს არ არის ის საფრთხეები, რომლებზეც დღეს საუბრობს სახელმწიფო, მთავარი საფრთხეა, რომ შეიძლება შესაძლებლობების ფანჯარა ვერ გამოვიყენოთ. არასწორ დისკუსიებს ვატარებთ, არასწორ გადაწყვეტილებებს ვიღებთ, ვართ დაყოფილები, მთავრობა არ ელაპარაკება ხალხს და არ ფიქრობს, რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას.

უკრაინაში რუსეთი აგებს ომს და არის ერთობა დასავლეთის განვითარებულ სახელმწიფოებში, რომ გააკეთონ ყველაფერი, რათა პუტინის რეჟიმი განადგურდეს. როდესაც ასეთი რამ ხდება, ჩნდება ახალი შესაძლებლობები საქართველოსთვის, მათ შორის ევროპასთან და ნატოში ინტეგრაციის კუთხით.

ძალიან მნიშვნელოვანია, ასეთ დროს სწორი ნაბიჯები გადავდგათ, ჩვენი მთავრობა და ხალხი უნდა იდგეს დასავლეთის გვერდით, ამასთან დაკავშირებით კითხვის ნიშნები არ უნდა გაჩნდეს, აუცილებლად უნდა დავგეგმოთ, რას ვაკეთებთ იმისთვის, რომ ევროკავშირში ინტეგრაცია სწრაფად მოხდეს.

ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, საზოგადოებამ იცოდეს, რა საფრთხეების წინაშე დგას ქვეყანა და რას აკეთებს სახელმწიფო იმისთვის, რომ ამ საფრთხეებს პასუხი გავცეთ. ამისთვის მნიშვნელოვანია გაფართოებული უსაფრთხოების საბჭოს სხდომა, სადაც დამსწრე იქნება როგორც ოპოზიციური პარტიები, ასევე პრეზიდენტი და მმართველი პარტია, – აღნიშნა ეკა გიგაურმა.

„ნაციონალებს უკრაინელი ხალხის ტრაგედიის ხარჯზე ხელისუფლებაში მობრუნება სურთ“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

აზე წარმოებული სისხლისმღვრელი ომი ხელისუფლებაში მოსასვლელად გამოიყენო.

– ამ ვითარებაში ხელისუფლებაში მოსვლის რა გზა აქვთ?

– ხელისუფლებაში მოსვლის გზა არჩევნებია. სხვა გზით ხელისუფლებაში მოსვლას წერტილი დაესვა 2012 წელს, როდესაც არჩევნებში „ქართულმა ოცნებამ“ გაიმარჯვა. მომავალშიც ადგილობრივ თუ ცენტრალურ დონეზე ხელისუფლება მხოლოდ არჩევნების საშუალებით შეიცვლება. საქართველოში ხელისუფლების შეცვლის სხვა გზა არ არსებობს.

– ადეიშვილი დავინახეთ კადრებში ჰაეგის ტრიბუნალის პროკურორთან შეხვედრაზე უკრაინელ მაღალჩინოსნებთან. ჩვენს ხელისუფლებას უკრაინის საელჩოსთვის ხომ არ მიუმართავს, როგორ მოხდა, რომ საქართველოს პროკურატურის მიერ ძებნილი პირი ჰაეგის პროკურორს დაუსვეს?

– ჰაეგის პროკურორმა საერთოდ არ იცოდა, რომ ეს ადამიანი ჯოჯოხეთური მოვლენების ორგანიზატორია, ყველა მძიმე დანაშაულში მონაწილეობდა, რომელიც ქართველი ხალხის წინააღმდეგ იგეგმებოდა. ის მკვლელობებში, ადამიანების გატაცებებში, საპატიმროებში ადამიანების წამებებში მონაწილეობდა. სამწუხაროდ, როგორც ჩვენი საერთაშორისო პარტნიორები, ისე მეგობრებად წოდებული ქვეყნები ასეთ საკითხებს ყურადღებას არ აქცევენ, რაც იმ ქვეყნებს, ორგანიზაციებს ძალიან ცუდად შემოუტრიალდებათ.

იქ, სადაც რუსეთის ფედერაციის სამხედრო დანაშაულებზე საუბრობ და გვერდით გიზის კრიმინალი, უმძიმეს დანაშაულებში მხილებული ადეიშვილი, ძალიან ბევრი კითხვა ჩნდება: რას აკეთებს ეს ვიგინდარა, კრიმინალი ადეიშვილი ასეთ ეროვნულ, პასუხისგებით აღჭურვილ ხალხთან? ვინ უნდა გაასამართლოს თვითონ კრიმინალმა ადეიშვილმა? თვითონ ძებნილია და ვინ უნდა ეძებოს? უკრაინას ასეთი ერთი და ორი ხომ არ არის შეფარებული.

უკრაინა სისხლისგან იცლება, თავისი ქვეყნის თავისუფლებისთვის უამრავი ადამიანი იღუპება. ამ დროს აქედან ხომ რომ შევუძახებთ, არიქა, რატომ მიეცით პოლიტიკური თავშესაფარი ვინმე ქილერას, რომელიც გლდანის საავადმყოფოს მთავარი ექიმი იყო და პატიმრებს მამაკაცების გაუპატიურებას აიძულებდა, სცემდა და აწამებდაო.

არც ის დამავიწყდება, როგორ, საიდან შემოიპარა პრეზიდენტყოფილი ხელისუფლების დასამხობად საქართველოში. ვინ შემოაპარა? შემთხვევით ლორთქიფანიძე ხომ არ იყო, რომელიც უკრაინის კონტრდაზვერვის უფროსის მოადგილე გახდა? კრიმინალი, 26 მაისის მიტინგის ერთ-ერთი მთავარი დამრბევია, დამნაშავეა სააკაშვილის შემოპარვაში.

უკრაინა თავისი ქვეყნის მომავლისთვის იბრძვის. არა მგონია, ეს ფუნდამენტური საკითხი იყოს საქართველო-უკრაინის ურთიერთობის ამ ეტაპზე. უკრაინას ყოფნა-არყოფნის საკითხი უდგას. დარწმუნებული ვარ, უკრაინა რუსეთთან დაპირისპირებაში წარმატებას მიაღწევს, სამყარო დამშვიდდება და შემდეგ უკრაინელ კოლეგებთან გვექნება კომუნიკაცია.

დარწმუნებული ვარ, საქართველოს კომპეტენტურ ორგანოებს – საქართველოს პროკურატურას ექნება კომუნიკაცია უკრაინის სამართალდამცავებთან და გავიგებთ, რატომ არიან ასე უხვად კაცისმკვლელები იქ თავშეფარებული. ეს ამბავი ძალიან მადარდებს. მათთან თავშეფარებულები ადამიანებს განსაკუთრებული სისასტიკით ეპყრობოდნენ, უამრავ ადამიანს წამებასა და ვაებაში ამოხადეს სული.

ღრმად ვარ დარწმუნებული, უკრაინა სამართლიან ბრძოლაშია ჩართული და რუსეთის შემოტევას მედგრად იგერიებს. როცა სამართლიან ბრძოლაში ხარ ჩართული, მკვლელსა და ავაზაკს შენ გვერდით რა ესაქმება? ეს მორალის საკითხია. თუ ამ ბრძოლაში ხარ ჩართული, გვერდით მორალური ადამიანი დაიყენე. ამას გულისტკივილით ვამბობ.

ლევან ხაბეიშვილი ირაკლი ზარქუას: „ირაკლი, ჯიგარო, არ მიცემიხარ, არც გვერდები მიტკენია“

– ჩემი მთავარი მოთხოვნაა, პარლამენტარი, უსირცხვილო კაცი, უპირო ადამიანი, ირაკლი ზარქუა, მოვიდეს სასამართლოში, აეყუდოს და მოყვეს, ვცემე თუ არა.

ამის შესახებ ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა ლევან ხაბეიშვილმა 22 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე პროცესზე განაცხადა.

ლევან ხაბეიშვილის თქმით, ამნისტიაზე დათანხმებას არ აპირებს და საქმის შეწყვეტას მოითხოვს.

– მაქვს ინფორმაცია, რომ განცხადება აქვს შემოტანილი სასამართლოში, რომ ჩემ წინააღმდეგ პრეტენზია არ აქვს, რა მტკიცებულება უნდა ჰქონდეს სამარცხვინო ირაკლი ზარქუას? ეს 2 წლის შემდეგ გაახსენდა? ქვეყანაში კრიმინალები დაილია თუ აღარ ხდება დანაშაული, ლევან ხაბეიშვილი გახდა ნომერ პირველი კრიმინალი, რომლის საქმეც უნდა იყოს განხილული?

არ ვაპირებ, ვინმესგან ამნისტია მივიღო, არავის შეწყალება არ მჭირდება და არასდროს კანონი არ დამირღვევია. ვითხოვ ამ საქმის შეწყვეტას, ეს საწყის ეტაპზევე უნდა მოხდეს, ვინაიდან არ არსებობს მტკიცებულებები და რეალური დაზარალებული, – აღნიშნა ლევან ხაბეიშვილმა.

მანვე მიმართა ირაკლი ზარქუას:

– მინდა მოვუწოდო ირაკლი ზარქუას მისსავე ენაზე – ირაკლი, ჯიგარო, არ მიცემიხარ, არც გვერდები მიტკენია, მობრძანდი ამ რუსულ სასამართლოში და თავად მოუყევი მოსამართლეს, რომ რაც დაწერე, ტყუილი იყო, – განაცხადა ლევან ხაბეიშვილმა.

დეპუტატის თქმით, ეს არის სადამსჯელო ღონისძიება მის წინააღმდეგ.

– საზოგადოებამ კარგად ნახა, რაც მოხდა, როდესაც ირაკლი ზარქუა მოჰყვა მოთქმა-გოდებას, ხაბეიშვილმა მცემა და ნეკნები დამიმტვრიაო. დარწმუნებული ვარ, „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს ჩემი საუბარი უფრო სტკივათ, ვიდრე ფიზიკურად რაიმე ეტკინა ირაკლი ზარქუას. ტკივილს განიცდიან ღარიბაშვილი, ლილუაშვილი და გომელაური, რომ-

ლებიც საჯაროდ ვამხილე დანაშაულებრივი მოქმედებების შესახებ. შესაბამისად, ეს არის სადამსჯელო ღონისძიება ჩემ წინააღმდეგ, რომელიც ჩემი საქმიანობიდან გამომდინარეობს, – აღნიშნა ლევან ხაბეიშვილმა.

საქმის პროკურორის, ნათია ქართველიშვილის, ინფორმაციით, მიუხედავად იმისა, რომ ხაბეიშვილის წინააღმდეგ ბრალად წარდგენილი მუხლი ამნისტირებადია, მან ამნისტიაზე უარი განაცხადა და თავს ბრალდებულად არ ცნობს.

მისივე თქმით, საქმეში დაზარალებულად ცნობილ „ქართული ოცნების“ დეპუტატ ირაკლი ზარქუას სასამართლოსთვის განცხადებით ჰქონდა მიმართული, რომელშიც აცხადებდა, რომ „არ ჰქონდა პრეტენზია და თანახმა იყო, ლევან ხაბეიშვილის მიმართ ამნისტიით გათვალისწინებული შეღავათები ყოფილიყო გამოყენებული“.

– ბრალდებული არ აღიარებს მის მიმართ წარდგენილ ბრალდებას და მიუხედავად იმისა, რომ ამნისტირებული მუხლია, უარი განაცხადა, რომ მის მიმართ ამნისტიის შეღავათები იყოს გათვალისწინებული. ამიტომ, 4 აპრილს საქმე არსებითი განხილვით გაგრძელდება. დაზარალებულ ირაკლი ზარქუას სასამართლოსთვის ჰქონდა მიმართული განცხადებით, რომ არ ჰქონდა პრეტენზია და თანახმა იყო, ლევან ხაბეიშვილის მიმართ ამნისტიით გათვალისწინებული შეღავათები ყოფილიყო გამოყენებული, თუმცა თავად ლევან ხაბეიშვილმა უარი განაცხადა ამნისტიის გამოყენებაზე, – აღნიშნა ნათია ქართველიშვილმა.

ლევან ხაბეიშვილის ადვოკატ გიორგი კონდახიშვილის განცხადებით, აღნიშნული საქმე 2 წელი და 2 თვე უმოძრაოდ იყო გაჩერებული და მხოლოდ ახლა გააქტიურდა, რაც, სავარაუდოდ, ხაბეიშვილის პოლიტიკურ აქტიურობას უკავშირდება.

მისივე თქმით, იმ ადამიანების მიმართ, რომელთაც რეალურად იძალადეს ლევანზე, საქმე არის შეწყვეტილი, მაგრამ ხაბეიშვილი, დაზარალებულის ნაცვლად, ბრალდებულის სკამზე აღმოჩნდა.

– უნდა გამოვიკვლიოთ მტკიცებულებები და დავადგინოთ, რამ გამოიწვია მის მიმართ ფიზიკური ტკივილი, როდის მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა და მხოლოდ 3-4 დღის შემდეგ რატომ გაახსენდა, რომ ლევანმა მას სცემა. 2 წელი და 2 თვე საქმე იყო უმოძრაოდ და მხოლოდ ახლა გააქტიურდა, როგორც ჩანს, ეს ხაბეიშვილის პოლიტიკურ აქტიურობას უკავშირდება.

იმ ადამიანების მიმართ, რომელთაც რეალურად იძალადეს ლევანზე, საქმე არის შეწყვეტილი, მაგრამ ლევანი, დაზარალებულის ნაცვლად, აღმოჩნდა ბრალდებულის სკამზე. ლევან ხაბეიშვილმა ამნისტიაზე განაცხადა უარი, თავს არ ცნობს დამნაშავედ, ვინაიდან არავითარი დანაშაული არ ჩაუდენია, – აღნიშნა გიორგი კონდახიშვილმა.

ცნობისთვის, 24 იანვარს ლევან ხაბეიშვილსა და ირაკლი ზარქუას შორის საკრებულოში დაპირისპირების ფაქტზე ნაციონალური მოძრაობის დეპუტატს 2.000– ლარიანი გირაო შეეფარდა.

მას ბრალი სსკ-ს 126-ე მუხლით აქვს წარდგენილი, რაც ცემას ან სხვაგვარ ძალადობას გულისხმობს.

ანა ნაცვლიშვილი: „ალტ-ინფოს“ მიერ განხორციელებული ძალადობა გომელაურისა და ღარიბაშვილის პასუხისმგებლობაა“

– ყველა ძალადობა, რომელიც „ალტ-ინფოს“ ძალადობრივი ჯგუფის ხელით განხორციელდება, იქნება პირადად გომელაურის და ღარიბაშვილის პასუხისმგებლობის საკითხი – თქვენ გაქვთ ყველა საკანონმდებლო ბერკეტი იმისთვის, რომ შეაფასოთ მათი უკანონო მოქმედებები და იმოქმედოთ.

ამის შესახებ „ლელოს“ დეპუტატმა ანა ნაცვლიშვილმა გუშინ, 23 მარტს, პარლამენტში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, სადაც 22 მარტს ქობულეთში უკრაინის მხარდამჭერ და „ალტ-ინფოს“ ოფისის გახსნის საწინააღმდეგო საპროტესტო აქციაზე მომხდარ ძალადობრივ ფაქტებს გამოეხმაურა.

მისი თქმით, სახელმწიფო თავისი უმოქმედობით ახალისებს და ხელს უწყობს ძალადობრივ ქმედებებს.

– მინდა გამოვეხმაურო 22 მარტს ქობულეთში მომხდარ ძალადობრივ ფაქტებს და მოვუწოდო შსს-ს, დაუყოვნებლივ გადადგას ის სამართლებრივი ნაბიჯები, რომლებიც აქამდე ვერც ერთ შემთხვევაში ვერ ვნახეთ, როცა ძალადობრივი ჯგუფი „ალტ-ინფო“ მოქალაქეებს ავიწროებს, ემუქრება, სცემს, მათ შორის, სცემს სიკვდილამდე.

მოვუწოდებ შს მინისტრს, ყველა ძალადობა, რომლებიც ამ ჯგუფის ხელით განხორციელდება, იქნება პირადად გომელაურისა და ღარიბაშვილის პასუხისმგებლობის საკითხი. თქვენ გაქვთ ყველა საკანონმდებლო ბერკეტი იმისთვის, რომ შეაფასოთ მათი უკანონო მოქმედებები და იმოქმედოთ და თქვენ გაქვთ არა მხოლოდ ამის უფლება, არამედ ამის ვალდებულება.

ამის ნაცვლად ჩვენ ვხედავთ სახელმწიფო პოლიტიკას, რომელიც ხელს უწყობს ძალადობრივი ჯგუფებისთვის გარემოს შექმნას, რომელიც მათ კიდევ უფრო გაძლიერებასა და გაფართოებას აძლევს გასაქანს.

ეს არის თქვენი პასუხისმგებლობა, როგორც ხელისუფლებაში მყოფი პოლიტიკური ძალის და პირადად საქართველოს პრემიერ-მინისტრის კისერზე იქნება ყველა ძალადობრივი აქტი თუ მუქარა, რომელსაც ეს ჯგუფი განახორციელებს, რადგან „ქართული ოცნების“ მხრიდან ორკესტრირებული და ხელშეწყობილი დაუსჯელობის სინდრომი აძლევს მათ ამის გაკეთების შესაძლებლობას, – განაცხადა ნაცვლიშვილმა.

22 მარტს ქობულეთში ადგილობრივები უკრაინის მხარდასაჭერ აქციას მართავდნენ და, ამავდროულად, „ალტ-ინფოს“ მიერ დაფუძნებული „კონსერვატიული მოძრაობის“ ოფისის გახსნას აპროტესტებდნენ, როდესაც ოფისში მყოფი პირები გამოვიდნენ და აქციის მონაწილეებს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს.

პროკურატურამ შშმ პირთა უფლებების დაცვის სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ ანგარიში მოამზადა

საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტმა სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობის უზრუნველყოფისა და შშმ პირთა მიმართ ჩადენილი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ ანგარიში მოამზადა.

საქართველოს გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, უწყებამ 2021 წელს „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაეროს კონვენციისა და „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით დაკისრებულ ვალდებულებათა ჯეროვნად შესრულების მიზნით, მნიშვნელოვანი ღონისძიებები განახორციელა.

„შშმ პირთა უფლებების დაცვის სამოქმედო გეგმის ძირითად მიზნებს შშმ პირთა ექსპლუატაციისგან, არასათანადო მოპყრობისგან და დისკრიმინაციისგან დაცვა, შშმ პირთა მიმართ ჩადენილ დანაშაულებზე ეფექტიანი რეაგირება და მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობის უზრუნველყოფა წარმოადგენდა.

კოვიდ 19-ით განპირობებული გამოწვევების მიუხედავად, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად, საქართველოს პროკურატურამ სხვადასხვა მნიშვნელოვანი ამოცანები შეასრულა, მათ შორის – შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და მათთან კომუნიკაციის თემაზე პროკურატურის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების, მათი საჭიროებების გათვალისწინებით, გონივრული მისადაგების უზრუნველყოფა სისხლის სამართლის საქმისწარმოების პროცესში; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის და შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციით მოტივირებული დანაშაულის ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება“, – ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

მათივე ცნობით, 2021 წელს ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტმა, შშმ პირების მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობის გაუმჯობესებისა და საერთაშორისო სტანდარტების პრაქტიკაში იმპლემენტაციის მიზნით, პროკურორებისთვის და სისტემის გამომძიებლებისთვის ორი სახელმძღვანელო მითითება მოამზადა: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოწმესთან, დაზარალებულსა და ბრალდებულთან მუშაობის სტანდარტები და მეთოდიკა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე არასრულწლოვან მოწმესთან, დაზარალებულსა და ბრალდებულთან მუშაობის სტანდარტები და მეთოდიკა.

„სახელმძღვანელო მითითებების მიზანია პროკურორისა და გამომძიებლის საქმიანობის წარმართვა შეზღუდული შესაძლებლობის, მათ შორის ფსიქიკური და ინტელექტუალური დარღვევის მქონე პირთა ინდივიდუალური საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებით, სამართალწარმოების ყველა სტადიაზე მათი თანასწორუფლებიანი, სრულფასოვანი და ეფექტიანი მონაწილეობა.

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის პრინციპები და საერთაშორისო სტანდარტი „არაფერი ჩვენ შესახებ ჩვენ გარეშე“ საქართველოს პროკურატურისთვის პრიორიტეტია.

ასევე, საქართველოს პროკურატურისთვის მნიშვნელოვანია შშმ პირების თანასწორუფლებიანი და სრულფასოვანი მონაწილეობა მართლმსაჯულების ყველა ეტაპზე. გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი განაგრძობს ძალისხმევას შშმ პირთა უფლებების დაცვისა და ეფექტიანი სისხლის სამართალწარმოების უზრუნველყოფის მიზნით“, – აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.

პროკურორი: „სააკაშვილს ბრალდება ლეხ კაჩინსკის დაკრძალვაზე ჩასვლას არ ედავება“

ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის საქმის პროკურორ არჩილ ტყეშელაშვილის განცხადებით, ბრალდების მხარე სააკაშვილს „შავ ბუღალტერიასა“ და ფუფუნების საგნებზე ფულის ხარჯვას ედავება და არა იმას, რაზეც აქცენტს დაცვის მხარე აკეთებს.

როგორც ტყეშელაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, კოსმეტიკურ პროცედურებში და მათ შორის მიხეილ სააკაშვილისთვის გაკეთებულ ბოტოქსში გახარჯულია 600 ათას ლარამდე.

– რაც შეეხება ლეხ კაჩინსკის სამძიმარზე ჩასვლას და იმას, რომ ბრალდება სააკაშვილს დაკრძალვაზე ჩასვლას ედავება და ეს ხარჯები ბრალდებაშია შეყვანილი, არის სრული სიცრუე. ბრალდების მხარე, რა თქმა უნდა, არ ედავება ბრალდებულ მიხეილ სააკაშვილს აღნიშნული ხარჯების გაწევას. ეს არის საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მცდელობა და ერთგვარი ტაქტიკა, რომ აარიდოს თავი იმ კითხვებს, რომლებიც ბრალდების მხარეს ლეგიტიმურად გააჩნია, იგულისხმება „შავი ბუღალტერია“ და იმ თანხების გაფლანგვა, რაშიც მოიაზრება ე.წ. ბოტოქსების ხარჯები, იახტების ხარჯები და სხვა ფუფუნების ხარჯები, რომლებიც გაწეულია მისი პრეზიდენტობის პერიოდში.

მე ვახსენე კოსმეტიკური პროცედურები, რომელთაც თვითონ იყენებდა. ამ კოსმეტიკურ პროცედურებში და მათ შორის, ბოტოქსში გახარჯული არის 600 ათას ლარამდე. აღნიშნული ხარჯების და მომსახურება წარმოადგენს ერთგვარ ფუფუნებას.

ფუფუნების საგანში ვიგულისხმე ასევე იახტები, რესტორნები, სხვადასხვა წვეულების მოწყობა არასახელმწიფოებრივი მიზნებისთვის ფუფუნების და გართობის გამო. მიგვაჩნია, რომ ეს თანხები გაფლანგულია და წარმოადგენს „შავ ბუღალტერიას“, – განაცხადა ტყეშელაშვილმა.

რაც შეეხება პროცესის გადადებას, როგორც პროკურორმა აღნიშნა, დაცვის მხარეს ერთგვარი სტრატეგია აქვს, რომ საქმე გააჭიანუროს.

– ჩვენ უკვე ორი პროცესია, ველოდებით, დაცვის მხარემ წარმოადგინოს მოწმეები, თუმცა, არ წარმოუდგენიათ. ეს აჩენს ეჭვს, რომ დაცვის მხარეს ერთგვარი სტრატეგია აქვს, გააჭიანუროს საქმეზე პროცესის მიმდინარეობა, – განაცხადა ტყეშელაშვილმა.

რუსეთი ყირიმის ხიდის ბლოკირებას გეგმავს

რუსეთის ფედერაცია ყირიმის ხიდზე როსგვარდიის ძალების მიერ ბლოკირების მომზადებას აპირებს. საოკუპაციო ხელისუფლება ასევე შეზღუდავს ბორნების მოძრაობასა და ნახევარკუნძულის საჰაერო კავშირებს რუსეთთან.

ამის შესახებ უკრაინის თავდაცვის სამინისტროს სადაზვერვო მთავარი სამმართველო იტყობინება.

აღნიშნულია, რომ მსგავსი ქმედებების ფორმალური მიზეზი უკრაინელი დივერსანტების წინააღმდეგ ბრძოლა და შესაძლო „ტერორისტული თავდასხმების“ პრევენციაა.

„ამგვარად, პუტინის მთავრობა ცდილობს უპასუხოს პანიკას რუსეთის მოქალაქეებს შორის, რომლებიც უკანონოდ გადავიდნენ უკრაინულ ყირიმში 2014 წლის თებერვლის შემდეგ. ოკუპანტები ცდილობენ, შეაჩერონ ლტოლვილთა ნაკადი ნახევარკუნძულიდან. ბოლო კვირებში, მას შემდეგ, რაც რუსული არმია თებერვალში შეიჭრა უკრაინაში, ამავე დროს, რუსი ოფიცრების ოჯახის წევრები, სამართალდამცველები და სევასტოპოლის საოკუპაციო ადმინისტრაციის წარმომადგენლები „გაქცეულთა“ წინა ხაზზე არიან.

გავრცელებული ინფორმაციით, ყირიმის დატოვების შესაძლებლობის შეზღუდვით პუტინი რეალურად მძევლად იყვანს 600.000 რუს მოქალაქეს, რომლებიც ამჟამად არალეგალურად იმყოფებიან ნახევარკუნძულზე და იწყებენ მათი სამართლებრივი სტატუსის გაურკვევლობის გაგებას“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

აშშ და მოკავშირეები რუსეთის დიდი ოცეულიდან გარიცხვას განიხილავენ

აშშ და მისი მოკავშირეები რუსეთის დიდი ოცეულიდან გარიცხვას განიხილავენ.

ამის შესახებ ინფორმაციას როიტერსი რამდენიმე დამოუკიდებელ წყაროზე დაყრდნობით ავრცელებს.

როიტერსის მიხედვით, დიდი ოცეულიდან რუსეთის გარიცხვის ინიციატივა პოლონეთმა დააყენა, აშშ-მ კი მხარი დაუჭირა.

– იყო განხილვები იმაზე, თუ რამდენად მიზანშეწონილია, რომ რუსეთი დიდი ოცეულის ნაწილი იყოს. თუ რუსეთი დარჩება წევრად, ეს ორგანიზაცია ნაკლებად გამოსადეგი გახდება, – განაცხადა წყარომ დიდი შვიდეულიდან.

გარდა ამისა, მედიას ევროკავშირში დამოუკიდებელმა წყარომ დაუდასტურა, რომ რუსეთის სტატუსის შესახებ განხილვები დაწყებულია.

– ინდონეზიისთვის საკმაოდ მკაფიო გახდა, რომ რუსეთის მონაწილეობა დაგეგმილ მინისტერიალის შეხვედრებზე ევროპული ქვეყნებისთვის პრობლემური იქნება, – უთხრა წყარომ როიტერსს.

გამოცემის ინფორმაციით, 22 მარტს პოლონეთმა აშშ-ს დიდ ოცეულში რუსეთის ჩანაცვლება შესთავაზა, რაზეც ამერიკისგან „პოზიტიური გამოხმაურება“ მიიღო.

პენტაგონი: „ბირთვულ იარაღთან დაკავშირებით კრემლის განცხადებები სახიფათოა“

მოსკოვის მიერ ბირთვულ იარაღთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადებები სახიფათოა.

ამის შესახებ პენტაგონის პრესსპიკერმა ჯონ კირბიმ განაცხადა.

– ეს არ არის გზა, როგორც პასუხისმგებლობის მქონე ბირთვული ძალა უნდა მოქმედებდეს, – აღნიშნა ჯონ კირბიმ.

ამასთან, მისი თქმით, პენტაგონს არ უნახავს ისეთი რამ, რაც აშშ-ს სტრატეგიული შემაკავებელი პოზიციის შეცვლისკენ უბიძგებს.

– ამ საკითხს ყოველდღიურად ვაკვირდებით, – აღნიშნა კირბიმ.

შეგახსენებთ, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის პრესსპიკერი დიმიტრი პესკოვი რუსეთის ფედერაციის მხრიდან ბირთვული იარაღის გამოყენებას არ გამორიცხავს იმ შემთხვევაში, თუ „ქვეყნის არსებობას საფრთხე დაემუქრება“.

კანადელი სნაიპერი: „მე ცოცხალი ვარ“

კანადის შეიარაღებული ძალების ყოფილი მებრძოლი და მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო სნაიპერი, მეტსახელად „ვალი“, ვიდეომიმართვას ავრცელებს და აცხადებს, რომ ინფორმაცია მისი სიკვდილის შესახებ რუსეთის მიერ გავრცელებული პროპაგანდაა.

ეჭვების გასაქარწყლებლად სნაიპერის სპეციალური ვიდეომიმართვა სიბისი ნიუსმა გაავრცელა.

როგორც სნაიპერი აცხადებს, ერთი კვირის განმავლობაში ის ბრძოლის წინა ხაზზე იმყოფებოდა, როდესაც უკან დაბრუნდა და მობილური ტელეფონი ჩართო, მისი გარდაცვალების შესახებ ინფორმაცია წაიკითხა და გადაწყვიტა, ვიდეომიმართვა ჩაეწერა.

– მე ცოცხალი ვარ, როგორც ხედავთ. ერთი ნაკაწრიც კი არ მაქვს. მე ბოლო ვარ, რომელმაც ჩემი გარდაცვალების შესახებ ინფორმაცია შეიტყო, – განაცხადა მან.

ცნობისთვის, რუსული მედიასაშუალებები აცხადებდნენ, რომ სნაიპერი „ვალი“ უკრაინაში ჩასვლის შემდეგ რუსმა სამხედროებმა მოკლეს.

შვედეთში მოსწავლემ 2 მასწავლებელი მოკლა

შვედეთში, ქალაქ მალმიოში, სკოლის მოსწავლემ ორი ქალი მასწავლებელი მოკლა.

განზრახ მკვლელობის ბრალდებით დაკავებულია 18 წლის ახალგაზრდა.

პოლიციამ მისი დაკავებისას ამოიღო ნაჯახი და დანა. სავარაუდოდ, ცეცხლსასროლი იარაღი გამოყენებული არ ყოფილა.

მკვლელობის მოტივი ჯერჯერობით უცნობია.

მედიის ინფორმაციით, დაჭრილი პედაგოგები საავადმყოფოში გადაიყვანეს და ორივე მათგანი იქ გარდაიცვალა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სამართალი

თაღლითურად მითვისებულია „ხალიკ ბანკის“ ქონება

პროკურატურამ ორ პირს ბრალი წარუდგინა

საქართველოს პროკურატურამ სს „ხალიკ ბანკი საქართველოს“ კუთვნილი დიდი ოდენობით თანხების თაღლითურად დაუფლების ფაქტზე ორ პირს ბრალდება წარუდგინა.

საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2021 წლის დეკემბერში მოქალაქე გ.ა.-მ და ერთ-ერთი კომპანიის დამფუძნებელმა რ.ლ.-მ, სს „ხალიკ ბანკი საქართველოს“ კუთვნილი დიდი ოდენობით თანხების მოტყუებით დაუფლების მიზნით, ერთმანეთთან ყალბი მომსახურების ხელშეკრულება გააფორმეს, რომლის თანახმადაც, კომპანიას დამკვეთისთვის თითქოსდა უძრავი ქონების საპროექტო სამუშაოები უნდა შეესრულებინა.

ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, გ.ა.-მ და რ.ლ.-მ საპროექტო მომსახურების ანაზღაურების მოტივით, საწარმოს მფლობელობაში არსებულ პოს-ტერმინალზე უნებართვოდ გააააქტიურეს უცხო ქვეყნის მოქალაქის კუთვნილი ვიზა პლასტიკური ბარათი, რის შედეგადაც რ.ლ.-ს საკუთრებაში არსებული კომპანიის საბანკო ანგარიშზე უკანონოდ ჩარიცხეს სს „ხალიკ ბანკი საქართველოს“ კუთვნილი 239.450 ლარი.

დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებმა მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებული თანხა ურთიერთშორის გაინაწილეს.

გ.ა.-სა და რ.ლ.-ს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მეორე და მესამე და 362-ე მუხლის მეორე ნაწილით (თაღლითობა, ჩადენილი წინასწარ შეთანხმებული ჯგუფის მიერ, დიდი ოდენობით და ყალბი ოფიციალური დოკუმენტის გამოყენების მიზნით დამზადება და გამოყენება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 6-დან 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პროკურატურა ბრალდებულების მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შუამდგომლობით, სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს.

გამოძიება გრძელდება დანაშაულში მონაწილე სხვა შესაძლო პირთა დადგენისა და მხილების მიზნით.

სპორტი

ეშლი ბარტიმ ჩოგანი 25 წლის ასაკში დაკიდა

მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა, ავსტრალიელმა ეშლი ბარტიმ, საჩოგბურთო კარიერა 25 წლის ასაკში დაასრულა. ამის შესახებ სპორტსმენმა 23 მარტს თავად ამცნო საზოგადოებას.

ბარტი მეორე ჩოგბურთელია, რომელმაც კარიერა პირველი ჩოგნის სტატუსით დაასრულა – პირველი ბელგიელი ჟუსტინ ენენი იყო.

ეშლი ბარტი:

– ჩოგბურთს ადრეული ასაკიდან ვთამაშობ. ხანგრძლივი პაუზა ჯერ კიდევ მაშინ ავიღე, როდესაც 18 წლის ვიყავი. ჩოგბურთმა ჩემს ოცნებებს ასრულების საშუალება მისცა. თუმცა, სათამაშოდ ძალები აღარ შემრჩა. სპორტის ამ მშვენიერ სახეობას ყველაფერი მივეცი და ამით კმაყოფილი ვარ. ეს ჩემთვის ძალიან დიდი წარმატებაა. ახლა მშვენიერ დროა, ჩოგანი დავთმო და სხვა მიზნებისთვის ვიბრძოლო.

არადა, ეშლიმ წლევანდელი სეზონიც მძლავრად დაიწყო. სულ 11-ჯერ გავიდა კორტზე და 2 ტიტულიც მოიგო.

ეშლის წასვლას ემოციურად გამოეხმაურა უამრავი ადამიანი, მათ შორის ავსტრალიის პრემიერ-მინისტრი, ქალთა ჩოგბურთის ასოციაცია, ჩოგბურთელები – ენდი მარი, სიმონა ჰალეპი, ელენა სვიტოლინა...

გეტყვით, რომ ბარტი „დიდი სლემის“ ტურნირების 3-გზის გამარჯვებულია. ავსტრალიელმა 2019 წელს „როლან გაროსი“ მოიგო, 2021 წელს – „უიმბლდონი“, ხოლო წლეულს – ავსტრალიის ღია პირველობა. კარიერული სლემის მოსაპოვებლად ბარტი ერთ ნაბიჯში იყო, მაგრამ...

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

საზოგადოება

დეა მეტრეველი ელისო ბოლქვაძეს: „თქვენი, როგორც იუნესკოს მშვიდობის ელჩის, ხმა არ ისმის“

დასაწყისი მე-8 გვერდზე

ისევე, როგორც საქართველოში, როდესაც სხვადასხვა დროს მსგავსი აგრესიით ანადგურებდა ქართული კულტურის ძეგლებს, აყალბებდა ისტორიას, დევნიდა და უმკაცრესი ცენზურის მარწუხებში აქცევდა თავისუფალ სიტყვას.

უკრაინაში მიმდინარე ომმა კიდევ უფრო ნათლად დაგვანახა რუსული აგრესიისა და რბილი ძალისგან მომდინარე საფრთხეები. უკვე აღარავის ეპარება ეჭვი, რომ საქართველოს მთავრობის პოლიტიკა ზედმიწევნით იმეორებს პუტინისტური რუსეთის ნაცად გეგმას, რომლის ნაწილია სრული კონტროლი კულტურისა და განათლების სისტემებზე, როგორც საზოგადოების აზროვნების ფორმირებაზე ყველაზე დიდი გავლენის მქონე სფეროებზე.

რეპრესიების მოლოდინშია არაერთი სხვა სახელოვნებო ორგანიზაცია, რაც უარყოფითად ისახება ორგანიზაციების მუშაობის ეფექტურობასა და შესაბამისი დარგების განვითარებაზე.

კულტურის სამინისტრო გადაიქცა ერთ-ერთ ყველაზე დახურულ და გაუმჭვირვალე სამინისტროდ, რომელიც, ფაქტობრივად, არ გასცემს საჯარო ინფორმაციას. „რკინის ფარდაა“ ჩამოფარებული სამინისტროსა და კრიტიკულ მედიას შორის. ოფიციალურ ბრიფინგებზე სამინისტროში მხოლოდ სახელისუფლებო მედიის წარმომადგენლებს უშვებენ.

2021 წლიდან სამინისტრო გახდა ხელოვნების სფეროს ერთადერთი უალტერნატივო დამფინანსებელი. ის თავად განსაზღვრავს დარგების პრიორიტეტებს, აცხადებს კონკურსებს, ქმნის კომისიებს და გასცემს პრემიებს, რითაც მიზანმიმართულად ასუსტებს ყველა იმ ორგანიზაციას, რომლებიც მის დაქვემდებარებაში, წლებია, აღნიშნულ საქმიანობას წარმატებულად ეწეოდნენ.

ქალბატონო ელისო, სწორედ ამ საფრთხეების გათვალისწინებით, უახლოეს მომავალში თქვენგან, როგორც კულტურის კომიტეტის თავმჯდომარისა და იუნესკოს მშვიდობის ელჩისგან, ველით საჯარო პროცესის დაწყებას კულტურის სფეროს წარმომადგენლების მონაწილეობით სფეროში არსებული ვითარების შესასწავლად, რათა მაქსიმალურად დაცული იყოს სახელოვნებო დარგების საუკეთესო ინტერესები და თავიდან ავიცილოთ მოსალოდნელი უმძიმესი შედეგები, რამაც, შესაძლოა, შეუქცევადი გახადოს კულტურის სფეროსა და თავისუფალი შემოქმედებითი პროცესებისთვის მიყენებული ზარალი.

გთხოვთ, კულტურის კომიტეტის დებულების შესაბამისად, პარლამენტთან ანგარიშვალდებული კულტურის სამინისტროს საქმიანობის ზედამხედველობის მიზნით უახლოეს მომავალში მოიწვიოთ კომიტეტის საკონსულტაციო საბჭო და, ამავდროულად, შექმნათ კომიტეტის სამუშაო ჯგუფი წარმოდგენილი საკითხების შესწავლასთან დაკავშირებით.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

კვარაცხელია საქართველოშია და რუსეთში მინიმუმ 30 ივნისამდე არ დაბრუნდება

საქართველოს ნაკრებისა და ყაზანის რუბინის შემტევი ხვიჩა კვარაცხელია საქართველოს ნაკრებთან ერთად შეკრებაზე იმყოფება და უახლოესი მატჩებისთვის ემზადება.

კვარაცხელიაზე ბოლო დროს ბევრი დაიწერა. განსაკუთრებით მას შემდეგ რაც ფიფამ და უეფამ რუსეთში მოთამაშე ლეგიონერებს სხვა ქვეყანაში თამაშის უფლება მისცა.

საზოგადოებაში გაჩნდა აზრთა სხვადასხვაობა. ხვიჩა კი დუმდა. დუმს ახლაც, მას შემდეგ, რაც რუბინიდან წავიდა. წამოვიდა ერთია და ბოლო მატჩში ყაზანურ კლუბს მოსკოვის არმიის გუნდთან, ცსკასთან უკაპიტნა.

თუმცა, მაინც წამოვიდა. თუმცა, ისიც არ ვიცით, სად გააგრძელებს კარიერას. იყო საუბარი ნაპოლიზე და ახლა უცებ საუბარია ბათუმის დინამოზე. უკვე ღიად მიდის ამ თემაზე საუბარი და კვარაცხელია 30 ივნისამდე საქართველოში ითამაშებს. ჯერჯერობით, უცნობია ისიც, რა მოხდება 30 ივნისის შემდეგ. წესით, კვარაცხელია ისევ რუბინში უნდა დაბრუნდეს.

აზრთა სხვადასხვაობაა კვარაცხელიას შესახებ თავად რუსეთში. ვნახოთ, რას ამბობენ საფეხბურთო წრეში ცნობილი რუსები ხვიჩა კვარაცხელიაზე.

ვიაჩესლავ კოლოსკოვი, ფიფას ყოფილი ვიცეპრეზიდენტი, რუსეთის საფეხბურთო კავშირის საპატიო პრეზიდენტი:

– დაბრუნდება თუ არა, ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს. ჰკითხეთ კლუბის ხელმძღვანელობას, მწვრთნელს. ნათელი წერტილი იყო ადრე, ახლა კი საშუალო დონემდე დაეცა. ასე რომ, კომენტარსაც არ აქვს აზრი. მხოლოდ ის ვიცი, რომ რუბინში შარშან კვარაცხელიაზე რაც თქვეს – არც ერთი წინადადება არ მიუღიათ, უბრალოდ, სუპერფეხბურთელობამდე გაბერეს.

რინატ ბილიალეტდინოვი, რუბინის ყოფილი მწვრთნელი:

– ახლა უკვე არ გამოვრიცხოთ, რომ ხვიჩა აქ აღარ ჩამოვა. მასზე დიდი ფსიქოლოგიური ზეწოლაა. სამწუხაროდ, რუსეთიდან ლეგიონერები მიდიან და თითოეული მათგანი დანაკლისია, რადგან ისინი ძირითადი შემადგენლობის ბიჭები არიან. დიდია ალბათობა, რომ ისინი არცთუ ხარისხიანმა ლეგიონერებმა შეცვალონ.

ვალერი ნეპომნიაშჩი, კამერუნის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი:

– საგანგაშო სიტუაციაა. პოლიტიკურ ჭრილში ყველაფერი ტკბილად არაა. მათ შორის, საქართველოსთან. ასე რომ, დიდი შანსია, ხვიჩა არ დაბრუნდეს, ხოლო რუბინის დღევანდელ მდგომარეობაში ეს დიდი დანაკლისია. კვარაცხელია საკვანძო ფეხბურთელია და საუკეთესო თვისებებს ავლენდა, თუმცა ამ სეზონში ცოტა მოუკლო. ეს უკვე ფსიქოლოგიის თემაა.

საქართველოს ხელბურთელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე რუსეთი ჩაანაცვლა

საქართველოს ხელბურთელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე ფინეთთან 2 მატჩის ჯამში წააგო და

კონტინენტის მთავარ ტურნირზე თამაშზე ფიქრს დაემშვიდობა, თუმცა რუსეთის აგრესიულმა პოლიტიკამ ჩვენებს ამის შანსი ხელახლა გაუჩინა.

ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციამ რუსეთი და ბელარუსი მეინ რაუნდიდან მოკვეთა და მათ ნაცვლად საქართველო და ლუქსემბურგი დაუშვა.

მეინ რაუნდის წილისყრა 31 მარტს ბერლინში გაიმართება. 32 გუნდი 8 ჯგუფში კალათების მიხედვით გადანაწილდება. საქართველო ბოლო, მე-4 კალათაშია.

1 კალათა: ნორვეგია, საფრანგეთი, ხორვატია, სლოვენია, უნგრეთი, პორტუგალია, ისლანდია, ავსტრია;

მე-2 კალათა: ჩეხეთი, პოლონეთი, ნიდერლანდები, ჩერნოგორია, ჩრ.მაკედონია, სერბეთი, შვეიცარია, უკრაინა;

მე-3 კალათა: ბოსნია, ლიეტუვა, ლატვია, ისრაელი, სლოვაკეთი, თურქეთი, რუმინეთი, საბერძნეთი;

მე-4 კალათა: კოსოვო, ბელგია, ესტონეთი, ფარერები, ფინეთი, იტალია, საქართველო, ლუქსემბურგი.

ეს 32 გუნდი დარჩენილი 20 საგზურისთვის იბრძოლებს. ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლება უკვე მოპოვებული აქვთ გერმანიასა (მასპინძელი) და ბოლო ევროპირველობის მედალოსნებს – შვედეთს, ესპანეთს, დანიას.

ჯგუფური ტურნირის პირველი ტურის მატჩები 12-13 ოქტომბერს გაიმართება და 2023 წლის 30 აპრილს დასრულდება. ფინალურ ეტაპზე ჯგუფების გამარჯვებულები და საუკეთესო მესამეადგილოსნები (4 გუნდი) გავლენ. საუკეთესო მე-3 ადგილზე გასული გუნდები მას შემდეგ გაირკვევა, რაც ყველა მატჩი ჩატარდება. გუნდებს მხოლოდ მასზე წინ მყოფ ნაკრებებთან ნათამაშები შედეგები ჩაეთვლებათ და საუკეთესოები ამის შემდეგ დადგინდება.

4 უარესი მაჩვენებლის მქონი გუნდი 2026 წლის ევროპირველობისთვის ბრძოლას საკვალიფიკაციო ეტაპიდან დაიწყებს.

ფინალური ეტაპი გერმანიაში 2024 წლის იანვარში გაიმართება.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

საქართველო სრულად შეიკრიბა

საქართველოს საფეხბურთო ნაკრები წლის პირველი ამხანაგური მატჩისთვის სარაევოში ემზადება. ბოსნია-ჰერცეგოვინის დედაქალაქში ვილი სანიოლის გუნდმა 22 მარტს პირველი ვარჯიში არასრული შემადგენლობით გამართა და მხოლოდ ერთი საათი გაგრძელდა. გუშინ კი გუნდს ლაშა დვალი და ვაკო ყაზაიშვილი შეუერთდნენ.

საქართველოს ნაკრების წლის პირველი ვარჯიშის დასრულების შემდეგ ვაკო გვილიამ მოახლოებულ მატჩებზე მოკლე კომენტარი გააკეთა.

ვაკო გვილია:

– ჩვენთვის ახალი ეტაპი იწყება. 2 ამხანაგური მატჩი გვაქვს, მაგრამ მთელი აქცენტი ივნისის თამაშებისთვის მოსამზადებლად კეთდება. ნაკრებში ამხანაგური შეხვედრები არ არსებობს. ეროვნულ გუნდში ყოველთვის მოსაგებად ჩამოვდივართ, ახალი სქემების და ტაქტიკის შესამუშავებლად. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ დადებითი შედეგი ვაჩვენოთ და მაქსიმალურად მომზადებული შევხვდეთ ივნისის ოფიციალურ მატჩებს.

საქართველოს ნაკრები სარაევოში ასეთი შემადგენლობით შეიკრიბა:

მეკარე: გიორგი ლორია (ანორთოსისი, კვიპროსი), გიორგი მამარდაშვილი (ვალენსია, ესპანეთი), ლაზარე კუპატაძე (დინამო ბთ);

დაცვა: გურამ კაშია (სლოვანი, სლოვაკეთი), ოთარ კაკაბაძე (კრაკოვია, პოლონეთი), გურამ გიორბელიძე (დინამო, გერმანია), გრიგოლ ჩაბრაძე, მამუკა კობახიძე (ორივე დინამო ბთ), ლაშა დვალი (ფერენცვაროში, უნგრეთი), სოლომონ კვერკველია (მეტალისტი, უკრაინა);

ნახევარდაცვა: საბა ლობჟანიძე (ჰატაისპორი, თურქეთი), ნიკა კვეკვესკირი (ლეხი, პოლონეთი), ხვიჩა კვარაცხელია (რუბინი, რუსეთი), ზურიკო დავითაშვილი (არსენალი, რუსეთი), ვაკო გვილია (ჩესტოხოვა, პოლონეთი), ვლადიმერ მამუჩაშვილი (დინამო ბთ), გიორგი აბურჯანია (ჟილ ვისენტე, პორტუგალია), გიორგი წიტაიშვილი (ჩერნომორეცი, უკრაინა), ანზორ მექვაბიშვილი (დინამო თბ);

თავდასხმა: გიორგი ბერიძე, ბუდუ ზივზივაძე (ორივე უიპეშტი, უნგრეთი), დავით ვოლკოვი (ზირა, აზერბაიჯანი), ვაკო ყაზაიშვილი (ჰიუნდაი, ს.კორეა).

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრები 25 მარტს სარაევოში ბოსნიას ეთამაშება, ხოლო 29 მარტს ტირანაში ალბანეთს გაეჯიბრება.

ოლექსანდრ ზინჩენკო: „მოკვდებიან, მაგრამ არ დანებდებიან“

ლეგენდარულმა ინგლისელმა ფეხბურთელმა გარი ლინეკერმა ბიბისიზე სასაუბროდ უკრაინის ნაკრებისა და მანჩესტერ სიტის ფეხბურთელი ოლექსანდრ ზინჩენკო მიიწვია, რომელმაც უკრაინაში არსებულ სიტუაციაზე ისაუბრა.

– სად შეიტყვეთ უკრაინაში ომის დაწყების ამბავი და რა რეაქცია გქონდათ?

– ბრიტანული დროით შუაღამეზე ცოლმა გამაღვიძა. ტიროდა. უკრაინაში მიმდინარე მოვლენების ვიდეოები და ფოტოები მანახა. შოკში ვიყავი. ყველაზე საშინელი გრძნობა მაშინ გეუფლება, როცა შენი ახლობელი ადამიანი კვდება. ამ დროს შინაგანად ძალიან ცუდად ხარ. მაგრამ ეს კიდევ უარესი გრძნობა იყო. მას შემდეგ, უბრალოდ, ვტირი. ეს ყველაფერი ჩემი გონებიდან არ ამოდის. წარმოიდგინეთ ადგილი, სადაც დაიბადეთ, გაიზარდეთ, ახლა კი იქ ცარიელი მიწაა.

– ბევრი თქვენი მეგობარი რუსეთთან საომრად დარჩა. ასევე ბევრი უკრაინელი, რომლებიც უცხოეთში ცხოვრობენ, შინ საბრძოლველად დაბრუნდა.

– სიმართლე გითხრათ, რომ არა ჩემი ქალიშვილი და ჩემი ოჯახი, ახლა მეც იქ ვიქნებოდი. იქ დავიბადე. ვიცნობ უკრაინელებსა და მათ მენტალიტეტს. ყველა ჩემნაირად ფიქრობს. ვამაყობ იმით, რომ უკრაინელი ვარ და ასე იქნება სიცოცხლის ბოლომდე. სიტყვები არ მყოფნის, როცა ვუყურებ ჩემს თანამემამულეებსა და მათ ბრძოლას ქვეყნისთვის. მათ ურჩევნიათ, მოკვდნენ და ისინი მოკვდებიან, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ დანებდებიან.

– ამ პერიოდში მხარდაჭერა იგრძენით?

– წარმოუდგენლად ბევრი ადამიანისგან და მათი მადლიერი ვარ. ვერ წარმოვიდგენდი, თუ ყველაფერი ასე იქნებოდა. ამიტომაც მინდა ყველას დიდი მადლობა გადავუხადო. ბევრ თხოვნას ვიღებ უკრაინიდან, რომ მათთვის მხარდაჭერის ვიდეოები ჩავწერო. ხალხი უყურებს ტელევიზორს, ჯერ ისევ უყურებენ ფეხბურთს და მათ შეუძლიათ საკუთარი თვალით იხილონ ეს მხარდაჭერა. ეს მათ ძალიან ეხმარება.

– ალბათ გაქვთ რამე ჩანაფიქრი, რითიც შეძლებთ, დაეხმაროთ უკრაინას.

– ბევრ ადამიანს ველაპარაკე, რომლებიც ჩვენ მხარეს არიან და მათ მითხრეს, რომ სასაცილოა ის, როგორ აშუქებენ მოვლენებს რუსული ტელევიზიები. ჩემი მისიაა, ვაჩვენო დანარჩენ მსოფლიოს, რა ხდება ამ მომენტში. შემიძლია მილიონობით ფოტო და ვიდეო გიჩვენოთ ჩემი ქვეყნის ყოველი ქალაქიდან, რომელიც მათ გაანადგურეს. სამხედრო ოპერაცია უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის?! ეს სიცრუეა. ეს ნამდვილი ომია. რასაც ისინი აკეთებენ, ყოველად მიუღებელია. ჩვენ ისინი უნდა გავაჩეროთ. არის რამდენიმე ქალაქი უკრაინის ყველაზე ქვედა ნაწილში, სადაც ჩადის მშვიდობიანი მოსახლეობა, რუსი ადამიანები და ისინი ყალბ დემონსტრაციებს აწყობენ ამგვარი ლოზუნგით – ჩვენ რუსეთთან გვინდა. არადა, ასე არ არის – უკრაინიდან ფაქტებს მიგზავნიან... ისინი შიმშილობენ. ხალხი, უბრალოდ, გადარჩენისთვის იბრძვის, მიწის ქვეშ ბუნკერებში სძინავთ.

რამდენიმე დღე ვფიქრობდი ამ ინტერვიუზე. ღირდა თუ არა აქ მოსვლა? გადავწყვიტე, რომ მინდა, შეტყობინება გავუგზავნო მთელ მსოფლიოს. ჩვენ ეს ომი უნდა შევაჩეროთ.

– რუსი ფეხბურთელებისგან თუ მიიღეთ მხარდაჭერა?

– გამაკვირვა იმან, რომ არც ერთ მათგანს არაფერი უთქვამს. ისინი ნაკრებში თამაშობენ, სოციალურ ქსელში ბევრი გამომწერი ჰყავთ. მათ შეუძლიათ, რაღაც გააკეთონ, რათა შეწყდეს ეს ომი. მათ ხალხი უსმენს. უკვე ვიცი, რომ შეშინებულები არიან. მაგრამ, რისი ეშინიათ? მათ არაფერს დაუშავებენ. ყოველ შემთხვევაში, შეუძლიათ, გამოხატონ საკუთარი პოზიცია, მაგრამ ამას არ აკეთებენ. არ ვიცი, რატომ.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ჯროსვოოიდი ბ



შვეულად: 1. ხახვით, ძმრითა და პილპილით შეზავებული სამწვადე ხორცი; 2. მარადმწვანე წიწვოვანი ხე; 3. გემის, თვითმფრინავის ოფიციანტი; 4. აეროპორტი პეკინში; 7. გემების სადგომი ნავსადგურში; 9. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 12. მოთხოვნა, რომელსაც თან ახლავს მუქარა; 14. დიდი ქრისტიანული დღესასწაული; 15. პოლიტიკური პარტიის ნაწილი; 17. სამონასტრო კომპლექსი ჯავახეთში; 20. შოკოლადის მწარმოებელი ამერიკული ფირმა.

თარაზულად: 5. ქართველი დრამატურგი, მწერალი, სცენარისტი, მარიონეტული თეატრის ფუძემდებელი საქართველოში; 6. პარიზის ძველი სახელწოდება; 8. მხარე გერმანიაში; 10. სათავგადასავლო კინოს ერთ-ერთი ჟანრი; 11. ერთი პროფესიის ხელოსანთა გაერთიანება ძველად; 13. ქართული კონიაკი; 16. ქალაქ ფოთის პირველი მერი; 18. ფინეთის ისტორიული სახელწოდება; 19. სიკეთე, კეთილი საქმე; 21. სტადიონი ლონდონში; 22. ბუნებრივი ნაკრძალი აჭარაში; 23. ორადგილიანი ველოსიპედი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. სანჩესი; 2. კორომი; 3. ფოლკნერი; 4. ღერღილი; 7. მარგალიტი; 8. ბუდეშური; 12. ნიშადური; 14. კადილაკი; 16. პენალტი; 17. მაკლერი; 19. ცემი; 20. ზარა.

თარაზულად: 5. ვაპორეტო; 6. ოჩოპინტრე; 9. ნევადა; 10. მატანი; 11. ოდიში; 13. ნიყვი; 15. ბაიერი; 18. სესხი; 21. ყანდარელი; 22. ლებარდე; 23. მიამიტი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ზაქათალა; 2. ჰალვა; 3. ტრაგედია; 4. იამაჰა; 7. ჯინსი; 9. სტეპი; 12. სტეფენსონი; 14. ალმასი; 15. პრიკაზი; 17. ჰეზბოლა; 20. სიათა.

თარაზულად: 5. საგურამო; 6. გერნიკა; 8. სევილია; 10. მასანდრა; 11. ფლინტი; 13. ამარეტო; 16. ვილჰელმი; 18. მედეა; 19. ნიყვი; 21. მიქსტი; 22. ოზურგეთი; 23. დუბლინი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

24 მარტი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ
დოლარი
— 3.2385

ევრო
— 3.5630

დიდი ბრიტანეთის
გირვანქა სტერლინგი
— 4.2819

100 რუსული
რუბლი
— 3.1404

ამინდის პროგნოზი 24 მარტისათვის

ISSN 1987-9385

ჰოლანდს ბარსელონაში თამაში სურს

დორტმუნდის ბორუსიის ფორვარდ ერლინგ ჰოლანდს ბარსელონაში თამაში სურს და მან თავის აგენტს უკვე ამცნო ამ გადაწყვეტილების შესახებ.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ჰოლანდი, შეაძლოა, უკვე წლევანდელ ზაფხულში აღმოჩნდეს კატალონიურ გუნდში, თუმცა ბორუსიას არ სურს ადვილად მისი დათმობა და ის საკმაოდ სოლიდურ თანხას ითხოვს, რომლის გადახდას ბარსელონა არ აპირებს.

მორატა, შესაძლოა, იუვენტუსში დარჩეს

ტურინის იუვენტუსის ესპანელ ფორვარდ ალვარო მორატას სამშობლოში დაბრუნება არ სურს და ის შეეცდება, რომ იუვენტუსთან ახალი კონტრაქტი გააფორმოს.

იუვენტუსში მორატა იჯარის წესით არის და მასზე უფლებები მადრიდის ატლეტიკოს ეკუთვნის. მორატამ ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ ის იუვენტუსში ბედნიერია და სურს, რომ გუნდთან ერთად წარმატებას მიაღწიოს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იუმორი

•••

ერთი ქალი მეორეს ეუბნება:

– წარმოგიდგენია, კაბის საყიდლად წავედი და არ ჩამეტია...

– მერე?

– მერე, გაბრაზებულმა, ტორტი ვიყიდე...

– ჩაგეტია?

•••

სამხედრო წვრთნები მიმდინარეობს. მედესანტეები თვითმფრინავიდან ხტომებს ახორციელებენ. მეთაური იძახის:

– ქორიძე წავიდა!

– უკვე სამჯერ გადავხტი და პარაშუტი ერთხელაც არ გახსნილა!

მცირე წინააღმდეგობის შემდეგ მაინც გადააგდეს თვითმფრინავიდან.

ამ დროს ფერმერი დაქირავებულ მუშებს თათბირს უტარებს და ეუბნება:

– ასე როდემდე უნდა გაგრძელდეს? ძროხები მოუწველავია, მძღოლები სულ მთვრალები ყრიან...

ამ დროს სახურავზე დაცემის ხმა ისმის. ფერმერი დაბალ ხმაზე:

– ამ მედესანტემ ხომ ტვინი ...!!!

•••

ერთი თანამშრომელი მეორეს ეკითხება:

– ხელფასი როდის იქნება?

– როდესაც ბუღალტერი დაბრუნდება.

– რა, შვებულებაშია?

– არა, ძებნაში.

•••

პატარა გოგონა მამას ეუბნება:

– მამიკო, 20 ლარი მომეცი და გეტყვი, ვინ წევს დედიკოსთან, როცა შენ სახლში არ ხარ.

– აჰა, აიღე და აბა მითხარი ვინ?

– მე!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ზაზა ხუციშვილმა რუს ჯარისკაცებს სიმღერა მიუძღვნა

მომღერალმა ზაზა ხუციშვილმა რუს ჯარისკაცებს სიმღერა მიუძღვნა.

ჯგუფ „ვაკის პარკის“ სოლისტმა რუსულენოვანი სიმღერა ჩაწერა და მასზე ვიდეორგოლიც გადაიღო.

„რუსი ჯარისკაცი“ – ასე ჰქვია სიმღერას, რომელიც ზაზა ხუციშვილმა რამდენიმე დღის წინ ინტერნეტით გაავრცელა და ათასობით მსმენელის მოწონება და დადებითი კომენტარიც დაიმსახურა.

მუსიკოსი რუსი ჯარისკაცების ულმობლობაზე მღერის. ის მოუწოდებს რუსი ჯარისკაცის დედასაც, გამოფხიზლდეს, რადგან მის შვილს ბავშვების ხოცვას აიძულებენ.

– ქრისტე გაეცი, სიყვარული დაივიწყე, – არის ასეთი ფრაზაც სიმღერაში.

მეცნიერი ელენე აბაშიძე 100 წლის გახდა

გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი ელენე აბაშიძე 100 წლის გახდა. საიუბილეო საღამო მეცნიერებათა აკადემიაში გაიმართა.

საზეიმო სხდომაზე შესავალი სიტყვა აკადემიკოს-მდივანმა ერეკლე გამყრელიძემ წარმოთქვა. პროფესორმა დავით კერესელიძემ კი დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა მოხსენება „ელენე აბაშიძის ცხოვრება და მოღვაწეობა“.

იუბილარი მეცნიერის შესახებ მისმა კოლეგებმა, მეგობრებმა ისაუბრეს.

გამოჩენილი მეცნიერი ელენე აბაშიძე გეოგრაფი, კარსტოლოგი, სპელეოლოგი, ჰიდროლოგი, ჰიდროგეოლოგი, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორია. იგი 540 მეცნიერული ნაშრომისა და 13200 ექსპერიმენტის ავტორია. მან შეისწავლა წყალსაცავების ფუნდამენტში არსებული კირქვების ნაპრალებში წყლის მოქმედების ჰიდროქიმიური და ჰიდროდინამიკური მექანიზმი, უარყო და რადიკალურად შეცვალა ორსაუკუნოვანი, მსოფლიოში გაბატონებული კირქვის ნაპრალების ზედაპირების ხსნადობის მცდარი მეთოდი და მოგვცა ახალი როგორც კვლევის მეთოდი, ასევე – მისი განზომილება.

ამერიკის შეერთებული შტატების ბიოგრაფიის საერთაშორისო ინსტიტუტმა ელენე აბაშიძეს „წლის ქალბატონის“ წოდება ორჯერ მიანიჭა. იგი შეყვანილია „მსოფლიოს 500 გავლენიანი ლიდერისა“ და „მსოფლიოს 100 ყველაზე საინტერესო ადამიანის“ სიაში.

ელენე აბაშიძის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სხდომის დასასრულს, საქართველოს თავად-აზნაურთა წინამძღოლმა დავით თარხან-მოურავმა იუბილარ ქალბატონს ქეთევან დედოფლის მედალი გადასცა.

საქართველოს თეატრალურ საზოგადოებას გიორგი გეგეჭკორი უხელმძღვანელებს



21 მარტს შემოქმედებითი კავშირის – საქართველოს თეატრალური საზოგადოების საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა ჩატარდა, სადაც შემოქმედებითი კავშირის – საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარედ გიორგი გეგეჭკორი მეორედ აირჩიეს.

თავმჯდომარის მოადგილე კი რეჟისორი დიმიტრი ხვთისიაშვილი იქნება. ორივე კანდიდატი ყრილობის დელეგატების მიერ ერთხმად იქნა არჩეული.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

დეა მეტრეველი ელისო ბოლქვაძეს: „თქვენი, როგორც იუნესკოს მშვიდობის ელჩის, ხმა არ ისმის“

საქართველოს პარლამენტის კულტურის კომიტეტის საკონსულტაციო საბჭოს წევრი დეა მეტრეველი პიანისტ ელისო ბოლქვაძეს ღია წერილით მიმართავს:

– ქალბატონო ელისო, უპირველეს ყოვლისა, მოგმართავთ, როგორც იუნესკოს მშვიდობის ელჩს, რადგანაც სწორედ დღეს თქვენი ეს სტატუსი, საქართველოს პარლამენტის კულტურის კომიტეტის თავმჯდომარეობასთან ერთად, უკრაინაში მიმდინარე ომისა და რუსული აგრესიის საფრთხეების გათვალისწინებით, ორმაგ პასუხისმგებლობას გაკისრებთ. ვფიქრობ, სწორედ საქართველოდან იუნესკოს მშვიდობის ელჩის ხმა დღეს ყველაზე ხმამაღლა უნდა ისმოდეს.

სამწუხაროდ, აღარავის გვიკვირს, რომ კულტურის სამინისტრომ ომის დაწყებიდან დღემდე არც ერთი სოლიდარობისა



და მხარდაჭერის სიტყვა არ გაავრცელა უკრაინისა და უკრაინელი ხალხის მისამართით, მაშინ, როდესაც ჩვენი მეგობარი ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობა – მუზეუმები, კოლექციები, ძეგლები – ნადგურდება და მოსახლეობა შიშველი ხელებით თავად იბრძვის სამხედრო თავდასხმებისა და მაროდიორობისგან მათ გადასარჩენად, მაშინ, როდესაც მშვიდობიანი მოსახლეობა, ხელოვანები თავშესაფრებში სიცოცხლისთვის იბრძვიან და თავდასხმებისგან იღუპებიან.

იმ ფონზე, როდესაც იუნესკომ უკვე არაერთი მკაცრი განცხადებით დაგმო რუსული აგრესია, უკრაინელი ბავშვების მკვლელობები, კულტურული მემკვიდრეობისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების განადგურება და ქვეყნის სუვერენიტეტზე თავდასხმა, თქვენი, როგორც იუნესკოს მშვიდობის ელჩის, ხმა არ ისმის, რაც არანაკლებ სამწუხაროა.

დღეს ოკუპანტი ქვეყანა მიზანმიმართულად ცდილობს, გაანადგუროს და წაშალოს უკრაინელი ხალხის იდენტობისა და სახელმწიფოებრიობის კვალი – მისი კულტურა და ისტორია,

გაგრძელება მე-6 გვერდზე

ასტროპროგნოზი

24 მარტისათვის

ვერძი – ფინანსური ოპერაციებისას სიფრთხილე და თავშეკავება გამოიჩინეთ. ზოგიერთი ნაცნობის მიმართ ქცევის შეცვლა მოგიწევთ. ერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს და უფრო რბილი და მოქნილი იყავით. **კურო** – ხელშეკრულებების გასაფორმებლად, მივლინებებისათვის შესაფერისი პერიოდია. მიმართეთ ძველ მეთოდებს. ექსპერიმენტები რეკომენდებული არ არის. **ტყუპები** – დღის პირველი ნახევარი წარმატებული იქნება, თუ იმ საქმეს გააკეთებთ, რომელშიც კარგად ერკვევით. თავს ზედმეტად ნუ გადაიტვირთავთ. **კირჩხიბი** – ახლობლებს თქვენი დახმარება სჭირდებათ. დაეხმარეთ, მაგრამ ისე, რომ თქვენი პირადი ინტერესები არ დაზარალდეს. **ლომი** – კეთილისმყოფელი დღეა საქმიანი კონტაქტებისათვის, შემოქმედი ადამიანებისათვის. საღამო მეგობრების წრეში გაატარეთ. **ქალწული** – თუ გაწყენინეს, შურისძიებაზე არც იფიქროთ. კეთილშობილება და მიმტევებლობა საქმეს უფრო წაადგება. პროფესიულ საქმიანობაში ცვლილებებია მოსალოდნელი. **სასწორი** – ზედმეტი თავდაჯერებულობაც და გაუბედაობაც დაგაზარალებთ. ზომიერება დაიცავით. **ღრიანკალი** – კრიტიკული დღეა. განერვიულებული და გაღიზიანებული ხართ. ერიდეთ ადამიანებს, რომლებიც თქვენზე უარყოფით გავლენას ახდენენ. **მშვილდოსანი** – პლანეტა ვენერა რომანტიკულ ურთიერთობებში გეხმარებათ. განსაკუთრებით იღბლიანი დღეა ქალებისათვის. **თხის რქა** – იღბალი თქვენ მხარესაა. რასაც ხელს მოჰკიდებთ, იდეალურად გამოგივათ. ახალი იდეების განხორციელება წარმატებას მოგიტანთ. **მერწყული** – სიყვარულში ბედი გწყალობთ. დაივიწყეთ ყოველგვარი უსიამოვნება და დატკბით თითოეული წამით. **თევზები** – ფინანსური ოპერაციები წარმატებით ჩაივლის. კომპრომისზე წასვლა დღეს აუცილებელია. შესაძლოა, შემოსავლის ახალი წყაროც გაგიჩნდეთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯვროსვოხდი ↄ



შვეულად: 1. ბრილიანტის თითოეული გვერდი; 2. საქართველოს რაგბისტთა გუნდი; 3. გემის, თვითმფრინავის მართვის სპეციალისტი; 4. გასუფთავებული ნატეხი შაქარი; 7. მარმარილოსა და ეგეოსის ზღვების დამაკავშირებელი სრუტე; 8. მდინარე გაგრაში; 12. ელექტრონავიგაციური ხელსაწყო გემზე, რომელიც ავტომატურად აღნუსხავს გემის მიერ განვლილ გზას; 14. რაიმე სიდიდეების შეფარდების გამომსახველი გრაფიკული ნახაზი; 16. ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი; 17. მონასტრის მსახური; 19. ჩეხური მოტოციკლეტი; 20. ადამიანის გარემომცველი ბიოველი.

თარაზულად: 5. ქართული ტელეკომპანია; 6. ავტონომიური ოლქი ესპანეთში; 9. აქვსენტი ცაგარელის პიესა; 10. მაღალმთიანი კურორტი აჭარაში; 11. მერაბ ბერძენიშვილის ქანდაკება ბიჭვინთაში; 13. მდინარე გერმანია-პოლონეთის საზღვარზე; 15. მონტენეგროში მოთამაშე საქართველოს ნაკრების კალათბურთელი; 18. კუთხე საქართველოში; 21. ორკუზიანი აქლემი; 22. უაზრობა, შეუსაბამობა; 23. ნახშირის სახატავი ფანქარი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა